ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲘ 1905

ჟურნალ „ჯეჯილისა“

		გვ.
I	გილოცავთ ახალ წელიწადს. სურათი.	3
II	მიმკველევა ლექსი—ავაკისა	4
III	ნუცა და ქეთუნა—ეკ. გაბაშვილისა	6
IV	თხა და მგელი—ალ. მირიანაშვილისა	8
V	საახალწლო მილოცვა—შ. მდივანელისა	10
VI	ლინეის სიყმაწვილე (ფრანგულიდან)—ეკ. მესხისა. . .	12
VII	თევზუნა-ცქვიტუნა-ცქიმურა (თარგმანი)—ვ. მიქაბერიძისა	39
VIII	წვრილმანი: ხალხური და გასართობი	32
IX	საახალწლო—ჩოხატაურელისა	33
X	ათი წლის სიმდიდრე—თ. რაზიკაშვილისა	36
XI	თეიმურაზ მეფის კურთხევა—ალ. სარაჯიშვილისა . . .	44
XII	ფიზიკური გეოგრაფია პროფესორი გეიკისა—სან—ინისა.	52
XIII	ტროადის ომი—ალ. უუმისთაველისა	60
XIV	წვრილმანი. ამოცანები, შარადა, სახუმარო ამოცანა და სხვ.	65

«ჯეჯილის» 1904 წლის იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც მთელი წლის ფული სრულად აქვთ შემოტანილი, ეგზავნებათ პრემია **ტახტის მემკვიდრე და მათხოვარი.**

3.17

საუმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაბუდი, გახდი ყანაო'..
ი. დ.

№ I

წელიწადი მეთექვსმეტე

საბჭოთა კავშირის
ოგლისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

ტფილისი
სტამბა ტ. მ. როტინიანცისა, № 41 || Тип. Т. М. Ротиніанца, Гол. пр. № 41
1905

Дозволено цензурою. Тифлисъ, 27-го Декабря 1904 г.

ახალ-წელიწადს გილოცავთ.

მიმკვლევა.

ამხიარულდი ბუხარო!
გულ ჩახვეული ნუ ხარო!..
მცივანა ზამთარს უყვარხარ
და არც ცხელ ზაფხულს სძულხარო!

—

მოვდივართ მოსალოცავად,
მოგვაქვს სამკვლევი „ჯეჯილი“
ღმერთმა მრავალს წელს დაგასწროსთ
და გაგიმრავლოთ ხეხილი!

—

შენ აგუზგუზებ, ბუხარო,
დაბლა ნაკვერჩხალს, მაღლა ალს...
ნიგუზალს შეგიჩინჩხალებთ,
გაგაყრევინებთ ნაპერწკალს.

—

და ლოცვა ნატვრას დავიწყებთ...
ეს ძველებური წესია:

ის ერთი ასათ მოიმკოს,
რაც კარგი დაგითესია!..

—

„ამდენი შური და ღვინო!..
ხორაგეული ამდენი!..
ამდენი ჯოგი ოთხფეხი:
ცხვრები, ძროხები და ცხენი.

—

ამდენი ოქრო და ვერცხლი!
თვალ-მარგალიტი ამდენი!
სიკეთე ბევრი სხვა-და-სხვა
და ღმერთი მხოლოდ ამხდენი!!"

—

ამ ძველებურსა ნატვრასა
ჩვენც დავამატებთ ერთს ტკბილსა
„ამდენი თანამგრძნობელი
და წამკითხველი „ჯეჯილსა"."

—

გამხიარულდი ბუხარო,
დაფიქრებული ნუ ხარო.
ჩვენს მოყვრებს ყველას ეყვარხარ!..
მტრებს ხომ სძულხარ და სძულხარო.

აკაკი.

ნუცა და ქეთუნა.

ხალ-წელიწადს ნუცას აუარებელი საჩუქარი მოუვიდა. ბებიამ მშვენივრათ გაკეთებული ხატაური მოულოცა, თეთრი ეკითელის ზოლებით, ყელზედ ლურჯის ლენტით შებმული ქღანურით. ბაბამ თეთრი, გაბურძგნული ფინია, რომელიც გასაღებით მომართული, ოთახში დარბოდა და თან ნამდვილი მაღლივით წკავწკავებდა. მამიდამ ბატარა ფაეტონი, ოთხ ცხენ შებმული, რომელიც გასაღებით მომართული, აქეთ-იქით დასრიალებდა; შიგ ლამაზად მორთული ქალი და კაცი ისხდნენ და მარჯვნივ და მარცხნივ ყველას თავს უკრავდნენ. დედამ თეთრი ქიშმირის კაბა არშიებით მორთული, განიერის ჰირისფერის სარტულით. ბიძებმა კამფეტები ლამაზის ყუთებით...

ნუცა მეტის სიხარულით გაბეცებული იდგა და აღტაცებით დაჰყურებდა თავის საუნჯეს, არ იცოდა რომელი აელო ხელში, რომლით ეთამაშნა, რომლისთვის მიეცა უპირატესობა.

ქეთუნა, ჰატარა გლეხის გოგო, ნუცას მოსამსახურეთ მიჩენილი, იქვე მოშორებით იდგა და შურის თვალით შესცქეროდა ყველა ამას.

— ნეტაი შენ, ნუცაჯან, რომ ეგრე ყველას უყვარხარ! რა ბედნიერი ხარ! რამდენი მორთულობა, რამდენი სათამაშოები გაქვს! ამოოხვრით უთხრა ქეთუნამ ნუცას, როცა ყველანი გავიდნენ ჰატარა ნებიერის ოთახიდგან.

— შენ, შენ არავის უყვარხარ? შენ არავინ არაფერს გაჩუქებს? თანაგრძნობით შეეკითხა ნუცა თავის მოსამსახურეს.

— მე?.. მე ვის ვეყვარები?! მე ღარიბი, საწყალი ქვრივის შვილი ვარ, ვინ რას მაჩუქებს? უფრო დაღვრემით მიუგო ქეთუნამ ნუცას და თვალები ცრემლებით აევსო.

— მე მიყვარხარ, მე გაჩუქებ, ჩემო ქეთუნია! გულამოჯდარმა უთხრა ნუცამ და ყელს მოეხვია, კოცნა დაუწყო, კალთაში სათამაშოები ჩაუწყო: — «აი ეს სუყველა შენი იყვეს, შენთვის მამილოცნია»...

ამ დროს ნუცას დედა კარებში შემოდიოდა და თავში ხელი შემოიკრა: «ჩემ შერცხვენას, ჰატარა გოგოს დასაჩუქრება-კი დამავიწყდა!»

მაგრამ შვილმა დედის დანაშაული ჩინებულად გაასწორა.

— ეს ხომ სჯობს მამულისათვის, რომ შვილი სჯობდეს მამასაო». გაიფიქრა დედამ და გული დაიმშვიდა.

ეკ. გაბაშვილისა.

თხა და მგელი.

იგავი.

ბოფლის გარეთ, ტყის პირში მგელი შეხვდა თხას, რომელიც მწარეთ მოსთქვამდა:

— ვაიმე, თავო დაღუპულო! ვაიმე, ჩემო ამაგო, ჩემო იმედო!

— რა მოგსვლია, რას შეუწუხებიხარ? ეკითხა მგელმა თხას.

— ენა ვერ გამოთქვამს, რა მიყო ჩემმა მწყემსმა: ძუძუდან შვილი მომგლიჯა, ყელი გამოსჭრა და თავის ცოლს წაუღო: ციკნის ხორცი მოინდომაო.

— დიდი უგულობა და მხეცობა ჩაუდენია შენ მწყემსს; წამოდი, მეც ცოლის და წვრილი შვილების პატრონი ვარ, ძუძუს წოვებას ნაჩვევი ყოფილხარ, ძიძათ დამიდექ, შენ ჩემ შვილებს უარე და მე შენ პატრონობას და მფარველობას არ მოგაკლებო.

დათანხმდა თხა, გაპყვა მგელს უდაბურს ტყეში და დაუწყო მგლის ლეკვებს წოვება და ლალაობა.

როცა ლეკვები წამოიზარდენ და ძუძუს წოვა მიატოვეს, მგელმა უთხრა თხას:

— როგორც ვხედავ, საუცხოვო რძის პატრონი ყოფილხარ; ახლა მინდა ვცადო, შენი ხორცი როგორ-ღა შაერგებათ ჩემ შვილებსაო.

ეცა მგელი თხას, ყელი გამოლადრა; მერე მიეხვივნენ მისი ლეკვები, სწრაფათ ისე გაფესკვეს, გამოხრეს, რომ ნატამალიც აღარ დატოვეს.

ასე მოუვიდა მგლისაგან სიკეთის მომლოდინე თხას.

ალ. მირიანაშვილი.

საახალწლო მილოცვა.

ილოცავთ ჩემო შვილებო,
ახალ წელს სულით გულითა,
დაესწართ მრავალს ამ დროსა
სულ სხვაგვარ სიხარულითა!..
გიგზავნით მსხალს და ჩურჩხე-
ლას,
ვაშლით გაჭიკნილ კალათსა,
ჭრელ წინდებს ჩემგან დაქსოვილს
და სათითაოთ ხალათსა.
ჩამიჩსაც ბლომად ვაუოლებ,—
წელს კარგად გვესხა ბაღებსა,
ზოგი თქვენ, ზოგი მამიდას,
ზოგიც თქვენს ამხანაგებსა.
ბიძია თომას ესლა-კი
თაშამათ მოუსარია;
მოაქვს კაკალა ჰურები,

წუვილიც შემწვარი ვარია...
მამიდას უნდა ბოდიში
შემოვუთვალოთ ეველამა,
ისვი და ბატი გაგვიწეო
იმ საგერანო მელამა.
ამ ჟამათ ვერას უგზავნით
მოსახარშ-შესაწვავათა,
საალდგომოთ-კი ეველაფერს
მე ჩამოვუტან თავათა...
აქ ისევ ჭეინავს და სუსხავს,
სუეველგან ცუდი დარია,
თოვლის ქვეშა წევს უძრავად
დიდი მთა, დიდი ბარია.
საგაზაფხულო მზის სხივი
ისევ ცას მოუპარია.
შავს ნისლებს დასდევს ღრიალით
აღმოსავლეთის ქარია.

შ. მღვიმელი.

ლინეის სიყმაწვილე.

ᲨᲔᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ მაისის დილა იყო, მოკრიალებულ ცაზე მზე ბრწყინვალეთ ანათებდა. ჩიტები მხიარულათ ჭიკჭიკობდენ. ათასნაირი ყვავილები თავიანთის სუნნელოვანებით ამკობდენ უმათოოთაც სასიამოვნო ჰაერს. მთელი ბუნება, თითქო გაზაფხულის მოსვლით გახარებული, სადღესასწაულოთ იყო მორთული. მეწაღე ჰანსის დუქნის ღია ფანჯარაშიაც შეჰქონდა ნიავს წმინდა სუნნელოვანი ჰაერი —

ჰანსის დუქანი იყო შვეიცის ერთ ღარიბ პატარა ქალაქის ჭუჭყიანს ქუჩაზე და თავისის სიღარიბით საშინელს შთაბეჭდილებას ახდენდა გამვლელ-გამომვლელზე; თითონ დუქნის პატრონის გამურულ-გაბურძგნული სახე ხომ შიშის სარსა სცემდა მის შეგირდებს.

დაზგასთან ისხდენ რამდენიმე შეგირდი. მათში ერჩეოდა ერთი პატარა ქერა-თმიანი და ვარდისფერ ლოყებიანი



ბიჭი, რომელიც ქალსავით ნაზი შეხედულობისა იყო. მას მუხლზე წაღა ედო და ელოდა, რომ ამხანაგს დამზადებული წაღის ძირი მიეცა მისაკერებლათ. მაგრამ შარლის (ასე ეძახდენ ქერა ბიჭს) ეურადღება უფრო ფანჯრისკენ იყო მიმართულილი—ვიდრე წაღისკენ. ის ჩაფიქრებული და მოწყენილი გაიყურებოდა. საცოდავი ბავში, სულ თავის ოჯახზე ფიქრობდა.

შარლის მამა, ჰასტორი ლინეუსი, ძალიან შეწუხებული იყო შვილის საზარმაცით, რომელსაც სწავლა ისე არ ეხალისებოდა, როგორც ეკავილებისა და მცენარეულობის მოვლა. მამამ შარლი მიაბარა მეწაღე ჭანსს და შეეხვეწა, ნუ დაზოგავ, რამდენიც გინდა ამუშავე და ხელობა შეასწავლეო. და აგერ წელიწად ნახევარია, რაც შარლი მეწაღეობას სწავლობს. ამ ხნის განმავლობაში ჭანსი შარლს ხში-

რათ დასჯიდა ხოლმე სიზარმაცისა და უხერხულობისთვის.

ამ გაჭირვებაში შარლმა შეიძინა ერთი მეგობარი, რომელიც მის გაფუჭებულ საქმეს ასწორებდა ხოლმე და მაგიერათ შარლი თავის მეგობარს შვენიერ ამბებს უამბობდა ევავილებისა და მცენარეების შესახებ.

ამ დილას შარლის ყურადღება ძალა უნებურთ მიიპყრო ერთმა სუფთათ ჩაცმულმა დედაკაცმა, რომელმაც დუქანში შემოსვლისათანავე ჭანსს მიმართა შემდეგი სიტყვებით:

— ოსტატო, ჩემი ბატონი, ექიმი როტმანი, სასაცილოთ აიგდეთ, თუ რა ამბავია ეს? შეხედეთ, ორივე წაღები ერთი ფეხისა შეგიკერავთ!

ხარაზმა წაღები დაათვალიერა, მიუბრუნდა შეგირდებს და სიბრაზით წამოიძახა:

— ვინ შეკერა ეს წაღები? ამას დიდი ფიქრი არ უნდა, ეს უთუოთ შენი საქმეა, შე უქნარავ, საზიზღარო! დაიღრიალა ჭანსმა და გაექანა შარლისაკენ.

დედაკაცს უნდოდა გამოსარჩლებოდა, მაგრამ ჭანსმა მას ხელი ჭკრა და რამდენჯერმე კაი-კაი მიარტყა საცოდავს შარლს კისერში.

— ნუ სცემ მაგ ბავშს—უთხრა როტმანის დედაკაცმა—ჩვენი საქმე ახლა სხვას მიეცი. აი, ფეხსაცმელს დაგიტოვებ და გადაკეთე.

საწყალი შარლი შიშით კანკალებდა.

— ნეტა კიდევ რა სასჯელს მომცემს, გულ-ქვა ჭანსი?

ფიქრობდა ბავში.—უველა სასჯელს მოთმინებით ავიტან, ოღონდ ეზოში-კი გამიშვას, რომ ჩემს საუვარელ იშვიათ უვავილს ერთი თვალი გადავავლო. აგერ ორი კვირაა ვუთვალთვალებ, ველი მის აუვავებას და რა უბედურება იქნება რომ დღეს გაიშალოს მისი კოკორი და მე-კი ვერა ვნახო.

— მე შენი შენახვა აღარ შემიძლიან – უთხრა ბოლოს ჭანსმა—როგორც-კი ამ საჩქარო საქმეებს გავათავებ მაშინვე გაგისტუმრებ. მანამ-კი რვა დღის განმავლობაში წუალსა და ჰურის მეტს არაფერს მოგცემ.

— მე სწორეთ სასჯელის ღირსი ვარ—უპასუხა შარლმა—მხოლოთ გთხოვთ ნება მამეცით, რომ ეზოში გავიდე და იქა ვჭამო ჰური.

— რაც გინდა ჭქენ—უთხრა ჭანსმა ცოტა დამშვიდებით — თუ გინდა შენი მცენარეები და უვავილებიც დაათვალიერე, არავინ გიშლის.

გახარებული შარლი ისე საჩქაროთ გაკარდა კარში, რომ ჰურის წაღებაც-კი გადაავიწუდა და გაეშურა თავის საუვარელ უვავილისაკენ და ოხ, საუვარელო! რა ბედნიერება იგრძნო! ოთხი მშვენიერი თეთრი უვავილი გადაშლილიო. უველას ლამაზი მწვანე ხაზები ჭქონდა ზედ შუაზე გადაკლებული.

სიხარულისაგან აღტაცებული შარლი დიდხანს შეჭუურებდა და შეხაროდა ამ უვავილებს, უცებ ჭანსის ცოლის უკმესმა ხმამ გამოაფხიზლა.

— დროა, რომ სახლში შემოხვიდე, შე ზარმაცო, უუ-ვიროდა ის.

ჭუჭყიან დუქნის ჰაერის მოგონებამ და ოსტატის მუჯ-ლუგუნების წარმოდგენამ შარლს შიშის ზარი დასცა და თითქო გაამხნევა. მან საჩქაროთ მოიგლიჯა ტუავის წინ-საფარი, გადისროლა და მინდვრისკენ გაიქცა. როდესაც კარგათ მოშორდა დუქნის არე-მარეს, გავიდა მინდორზე და დარწმუნდა, რომ ვეღარავინ მომეწევაო შარლი შეჩერდა და დაუწყო თავის საუკარელ მცენარეებს ძინჯვა.

— დიახ, მცენარეებიც ცხოვრობენ, ჩვენსაებ იმათაც აქვთ გრძნობა,—ბუტბუტებდა შარლი— ისენიც იბადებიან, იზრ-დებიან, როგორც ჩვენ. ჩვენ რომ ვუვლით და ვზრუნავთ მათთვის, იმის სამაგიეროთ ისენი თავიანთი სუნნელოვანე-ბით გვატკბობენ და მრავალს ნაყოფს გვაძლევენ.

— ძალიან მოტრფიალე ყოფილხარ ყვავილებისა, ემაწ-ვილო! მოისმა ვიღაც კაცის მხიარული ხმა.

შარლი მიბრუნდა და დაინახა სანში-შესული კაცის ალერსიანი სახე.

— შენ ძალიან გიყვარს ყვავილები, ჩემო კარგო? ჰკით-ხა უცნობმა შარლს.

— ოჰ, ძალიან მიყვარს! შეჰყვირა აღტაცებით ემაწ-ვილმა.—ყვავილებია მუდამ ჩემი საფიქრებელი, ბატონო. მთელ საღამოებს და ღამეებსაც იმათ შესწავლაში ვატარებ. მე ვი-ცი, რომელი ყვავილი როდის გაიშლება! ოჰ! უცნობო ბა-

ტონო, რანაირათ მინდა, რომ მთელი ჩემი სიცოცხლე შევწირო უვავილებისა და მცენარეების შესწავლას!

უცნობი ძალიან გაოცა შარლის სიტუვებმა.

— მე ვხედავ რომ შენ სამაგალითო ბავში ხარ და დიდი სურვილი გაქვს საუვარელი საგნის შესწავლისა, უთხრა უცნობმა—ჩემო პატარავ, მე ექიმი როტმანი ვარ. შენი სახელი?

— მე შარლ ლინეუსი მქვიან. უპასუხა შეშინებულმა უმაწვილმა, რადგან ექიმ როტმანის გვარმა გაახსენა ბოლონდელი უსიამოვნობა ოსტატთან.

— ოჰო! მაშ შენ ჭანსის შეგირდი ხარ? უთხრა როტმანმა ტკბილის ხმით—ნუ გეშინიან, მე შენ ძალიან მომწონხარ. მეც ბუნების-მეტუველების მოუვარული ვარ. დღეიდან შენ ჩემთან იცხოვრებ. ჩვენ ერთათ მოვაგროვოთ ხოლმე

სხვა-და-სხვა მცენარეები და ჩემი წიგნებიდან შეგიძლიან შეისწავლო მათი ცხოვრება და აგრეთვე სხვა მეცნიერებაც, რომლისთვისაც, როგორც გეტყობა, შენ გაჩენილხარ.

აღტაცებულმა სიხარულმა ხმა-ჩაუწყვიტა ბავშს, თვალებიდან ლაპა-ლუპით ცრემლები გადმოუვიდა და ჰასუხის ნაცვლათ როტმანს ხელებზე დაუწყო კოცნა.

თავისი დედ-მამის ნებართვით შარლი გადავიდა ექიმ როტმანთან და დაიწყო ახალი ცხოვრება. ბოლოს კეთილი როტმანის წყალობით ის უნივერსიტეტშიაც შევიდა.

მცენარეების სიყვარულისა და მეცნიერულათ მათი შესწავლისათვის შარლს არას დროს არ დაუნებებია თავი. ბოლოს შეიქნა ის განთქმული სწავლული ლინეი, რომელმაც მთელი მეცნიერება გაამდიდრა მრავალის ახალ-ახალის გამოკვლევებით.

ეკ. მესხისა.

(ფრანგულიდან)

თევზუნა-ცქვიტუნა-ცქიმურა.

I

ვენიერ მწვანეთ დაბურულ წულის ნაპირებ შუა მოჩხრიალებს მოზრდილი მდინარე. წყალი ამ მდინარეში ისეთი სუფთაა, ისეთი კამკამი, რომ ძირში ყოველი პატარა ლოკოკინა და პაწაწკინა თევზებიც-კი მოჩანს.

დადგა გაზაფხული. მდინარე ადიდდა, ნაპირები წალეკა, ტირიფებს, რომლებიც წულის ნაპირს იყო ჩამწკრივებული, ეხლა წყალი გარშემო უვლის. ამ მდინარის წყალი ჩუმი და წყნარია, მაგრამ აქაც ცხოვრობენ სულიერნი, აქაც მოძრაობენ, მხიარულობენ, დარდობენ...

ერთ დიდ ნაცრისფერ ქვასთან, რომელიც იქვე წულის ნაპირას ეგდო, ჩამოვარდა ტირიფის ტოტი. ეს ტოტი შენიშნა პატარა თევზმა მამა-ცქვიტუნა-ცქიმურამ და მაშინვე ჩისარულით მოიქნია კუდი და ანიშნა დედა-ცქვიტუნა-ცქიმურას.

— რა კარგი ტოტია! - მოუწონა დედა-ცქიმურამ, ჩვენთვის ძალიან გამოსადეგია. აქ მეუდრეობაა, უშიშრობა... და აი აქ, სწორეთ ამ ტოტთან გავაკეთოთ ბუდე...

მამა-ცქიმურამ საჩქაროთ მიჭეო საქმეს ხელი. პირით

იჯერდა წულის მცენარეებს, და ტირიფის ტოტთან დიდის მზრუნველობით ბუდეს აკეთებდა.

ბუდე მალე დამზადდა.

დედა-ცქიმურამ უმალვე ჩაიუურუმელავა ბუდეში, მერე ისევ ამოჭყო თავი ისე, რომ ზევიდან მოუჩანდა მარტო თავი და ქვევიდან ბოლო, დაჭყარა ქვირითა და გამოსრიალდა



ბუდიდან საჭმელის საშოვნელათ და სათამაშოთ. ბევრ დროს არ გაუვლია, რომ თვითოეულ ქვირითიდან გამოვიდენ ჰატარა ლიფსიტები-ჰატარა ცქიმურაები.. ჰატარა-ცქვიტუნაები დასრიალებდენ, თამაშობდენ წყალში... მამა-ცქიმურა შვილებს უდარაჯებდა, არსად არ უშვებდა, და ეუბნებოდა:

ჩემო ჰაწაწკინა შვილებო, შორს არსად არ წახვიდეთ,

ჯერ გამაგრდით, მოიზარდენით... თორემ სხვა თევზები დაგ-ჩაგრამენ... შეგჭამენო.

დედ-მამა სიხარულით შესცქეროდა შვილებს. და იწვევ-და თავიანთ მოკეთეებს, მოდით, ერთი ნახეთ რა შვენიე-რი შვილები გაგვიჩნდაო.

ჩასრიალდენ სხვა-და-სხვა თევზები და ელოდენ, ნეტავ რას გვიმასპინძლებენო.

— რა ლამაზი ლიფსიტები მუავს, ჰატარეები, ნაცრის ფერები, ზურგზე ცოტა მომუქო-ფერი დასცემთ, ტანი აქვთ დაფარული წვრილი ქერქლით! — იკვეხოდა დედა-ცქიმურა.

— აბა ერთი მაჩვენე შენი შვილები, ცქიმურავ! — მედი-დურათ უთხრა ქარი-ულაპიამ.

დედა-ცქიმურამ უჩვენა.

თევზები უცქერიან და უკვირთ...

— რა საკვირველია!.. ძლივსა ჩანან, რა ჰაწაწკინტელე-ბია! ზურგზე და მუცელზე-კი ნემსებისავით წვეტიანი ეკ-ლები ასხიათ! უთხრა გაკვირებულმა კაპუეტმა.

— ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ჩემო ცქიმუ-რავ, ნუ თუ მამა-ცქიმურამ, იმ ჰატარა თევზუნამ გააკეთა ეს ბუდე? — გაკვირვებით და მოწიწებით ჰკითხა ქორჯილამ.

— დიახ, დიახ... სწორეთ თითონ გააკეთა... ძალიან თაოსანი ქმარი მუავს, უპასუხა ცქიმურამ.

— საშინლათ მიკვირს! არც ერთი ჩემი ნაცნობი თევზი ბუდეს არ აკეთებს...

— ჩვენ უველანი სულ უბრალოთა ვერით ქვირითას ქვიშაში, ან სადმე ამოღრუტნულში და ან კიდევ ქვის ქვეშ, — ჩაერია ლაპარაკში კარპი.

— ძალიან გულ-კეთილი და კარგი მამა მეაშს! — ერთბაშათ დაიწრიპინა ჰატარა ცქიმურამ.

— ეს რაღა თევზია, ასეთი ცქვიტუნა? — მედიდურათ შეეკითხა ქარი-ულაპია.

— ხა, ხა, ხა! ხი, ხი, ხი!... — ჩაიკისკისეს უველა თევზებმა.

— მართალს ამბობთ, მართალს, ქალბატონო ქარიულაპიავ! მართლა რომ ცქვიტუნაა! — შენიშნა კაპუეტმა.

— მართლა რომ ეს ჩემ შვილებში უველაზე ჰატარაა, მოსარიდალი და ცქვიტი... შენიშნა დედა-ცქიმურამ.

— დიდათ მოძწონს... ლამაზათაც ცურაობს... სამაგალითო მხიარული თევზუნაა...

მართლა რომ თევზუნა-ცქვიტუნა-ცქიმურა უველას მოეწონა.

II

ცხელი ზაფხულია. ქვებზე მირბის და მიჩხრიალებს მდინარე...

წულიდან დიდი ლაპარაკი მოისმის: უველა თევზუნა-ცქვიტუნა-ცქიმურას აქებს.

— ჭკვიანი თევზია! ამბობს ქარი-ულაპია.

— გულ კეთილი თევზია! ეუბნება ჭანარი.

— მეტათ მსიარული თევზია! დაუმატა კაპუეტმა.

ყველას შეუყვარდა თევზუნა-ცქვიტუნა-ცქიმურა: ამისაგან ცუდი არავის მოაგონდებოდა, ყველას შეარიგებდა, ყველას გააცინებდა, გაამსიარულებდა.

ერთხელ ქარი-ულაპია და ლოქო წაიჩხუბენ, რაღაც საჭმელის გულისთვის... ლოქოს უნდოდა ჰატარა ქორჭილა გადაეულაპა, ქარი-ულაპიამ-კი ჰირიდან გამოსტაცა.

— აი შე ღრჯოლებიანო, საფთხურო! ღორ-მუცელავ, მტაცებელო! ხმამაღლივ დაუყვირა ლოქომ.

— დაჩუმდი, შე ულვაშ-ოქებიანო, მახინჯო! გიცნობ რა შვილიცა ბძანდები... განგებ ოთხი ულვაში გამოგიბამს, რომ საცოდავი სუსტი თევზები მიიტყუილო.—მიუგო ქარი ულაპიამ.

— შენ თავზე დაისედო, შე გძელ თავავ... ჰირი რომ გაგიღია და ლაუჩებით სუნთქავ... შე ცბიერო შენა...

— შენა, შენა? შეუტია ქარი-ულაპიამ... სისხლი ცივი გაქვს... შენ თითონვე ლაუჩებით სუნთქამ. მე ტანსაცმელი მაინცა მაქვს ლამაზი, მშვენიერი ქერქლი მასხია, შენ-კი შავი, ტიტველი და მოლიპული ტანი გაქვს... ცქვიტუნა-ცქიმურას საშინლათა სწყინდა, თევზების ერთმანეთში ჩხუბი. მოიქნია კუდი და შესრიალდა მაჩხუბართ შუა.

— თევზებო, ქალბატონებო. შენ ბატონო ლოქოვ და

ჩემო კარგო ქარი-ულაპიავ... უეურეთ რა კარგი ცეკვა ვის-წავლე... და დაიწეო ხტუნაობა წეალში... სულ გეელისავით იკლაკნებოდა, და წეალში რაღაც რგოლებისმაგვარ კვალს აჩენდა.

ამის დანახვაზე ქარი-ულაპიამ და ლოქომ სიცილი მორთეს და ჩხუბი დაავიწედათ...

— ხა, ხა, ხა! აი შე ცელქო ცქიმურავ! ეოველთვის-კი გაგვაცინებ ხოლმე და.

სიცხე ჰაპარაქება იეო... მდინარეში რაღაც უბედურობა ტრიალებდა, თევზები დიდ შიშში იეენენ... იმალებოდენ... ჩურჩულობდენ...

ერთბაშათ წელის ნაპირას ხმაურობა და სიცილი მოის-მა, წეალში საოცარი რაღაცეები ეშვებოდენ, აქეთ იქით აწედებოდენ, წეალს ამღვრევდენ... თევზებს დიდი თავზა-რი დაეცათ, შიშისაგან აღარ იცოდენ რა ექნათ, დასრილებ-დენ აქეთ იქით და ფიქრობდნენ: ვინ არის ეს, რომ ასე ამღვრევს ჩვენ საკუთარ მდინარესო.

ერთბაშათ ეველაფერი დაწენარდა... ენახოთ, წეალში მოცურავს წითელი მსუქანი ჭიაეელა, იკლაკნება, თევზებს აგულიანებს...

გამბედავ ქორჯილას არ შეეშინდა, მივარდა და მოგლი-ჯა ჭიაეელა.

— ძმობილებო, ძმობილებო, ვერ წარმოიდგენთ რა გემრიელია! რა მშვენივრობაა! თქვენ დღეში ამაზე გემრიე-

ლი არა გიჯამიათ-რა! სწორეთ რომ ამაზე გემრიელი არა შეიძლება-რა!...

ქორჭილას ჯერ არ გაეთავებინა ლაპარაკი, რომ ღორმუცელა ქარი-ულაპია მაშინვე ელვასავით გაექანა ჭიაუელასკენ,—მოავლო ჰირი... და...

ოხ, საშინალებაკ! ჭიაუელასთან ერთათ ზევით აიწია და თვალთაგან გაჭქრა.

მორთეს ბაასი და ლაპარაკი თევზებმა.

— რა იქნა ქარი-ულაპია?

— ქარი-ულაპია მწვანე ბალახიან ნაპირზე ასტა.

— ჭიაუელამ წაიღო.

— არა, ქარი-ულაპიამ ჭიაუელა წაიღო.

ბაასობდენ, აღელვებულნი თევზები.

ვნახოთ, ჭიაუელა კიდევ გაჩნდა... უფრო მსუქანი, უფრო მოშხიპლავი; იკლაკნება, თევზებს იხმობს...

თევზუნა-ცქვიტუნა-ცქიმურა მისრიალდა, და ჭიაუელა იგემა.

— დედიკო, დედიკო, მართალი თქვა ქარი-ულაპიამ... ეს ჭიაუელა ძალიან გემრიელია... ამაზე გემრიელი ჩემ დღეში არა მიჭამიარა...

— დაანებეთ, შვილებო, თავი მაგ ჭიაუელას, თორემ თქვენც ისევე აფრინდებით ზევით, როგორც ქარი ულაპია აფრინდა. მაშინ მე რალა ვქნა უთქვენოთ? უთხრა დედა-ცქიმურამ.

— აი თქვე მშიშარებო?—შეჭვირა მურწამ, წაავლო ჰირი ჭიაყელას და უმალვე წულიდან ზევით ამორინდა.

უკვირთ თევზებს და თანაც უნდათ გაიგონ, რა ამბავია წულის ნაპირას... ვინ ცხოვრობს იქ, ვინ ყვირის, სად გაჭქრენ ქარი-ულაპია და მურწა?

თავიანთ ცქვიტი თვალებით ბევრი ათვალიერეს აქეთ-იქით, წულიდანაც ხტებოდენ, მაგრამ ვერა გაიგესრა.



III

მზე შვენივრათ ბრწყინავს. ფრინველები ერთი ტოტიდან მეორეზე ხტიან და საამურის ხმით გალობენ. ქარი ოდნავ აშრიალებს ფოთლებს. მდინარესთან სიგრილეა; მის ნაპირებზე ჩარიგებულია დიდი ტირიფები. აქა-იქ მოჩანს

ლერწამი, ლელი და ლელში მრავალი უვავილები... მდინარის ნაპირები მაღლობია და კლდიანი, წყალთან თუ გინდა მიხვიდე უნდა ქვევით ჩახვიდე და ისე მიუდგები მდინარეს. ბატონიანთ სასახლიდან, რომელიც მოშორებით გორაკზე იდგა, მდინარისაკენ მორბოდენ ბავშები ანკესებით და ჩალხანებით... უკან სირბილით და ქშენით მოზდევდა გადია.

— რა მიგარბევინებთ... მოიცადეთ, თქვე ცელქებო! გეუბნებით მდინარესთან ახლოს არ ირბინოთ... შიგ ჩავარდებით!... უკან მისძახოდა დაღალული გადია.

— ნუ მორბისარ, ჩვენო გადიავ!.. ნუ გეშინიან... ჩვენ დაგიცდით! — დაუძახა ერთმა ბავშთაგანმა, ერეკლემ. ნიკომ და თამარამ-კი მიირბინეს მდინარესთან და ნაპირას შეჩერდენ...

— უფურე, უფურე, გადიავ... ერა რგოლები კეთდება წყალში? შეეკითხა თამარა.

— ეგ, ჩემო შვენიერო, თევზი მზეზე თამაშობს...

— ნახე, ნახე, როგორ სტუნაობენ...

— ჩემო გადია, აბა გვირჩიე სად ვითევზაოთ! ჰკითხა ნიკომ.

— აი იმ წამოწოლილ ტირიფთან, იქ უფრო სიმშვალეა; წადით იქ და ნუ იცელქებთ-კი, უთხრა გადიამ.

— მე-კი უვავილებს ვაკრეფ და დედას თაიგულს შეკუ-

კრავ... დედას ხომ ეკვავილები ძალიან უყვარს... ტიტინებდა პატარა თამარა.

— მოკრიფე, ჩემო პიწიავ, მოკრიფე, გენაცვალოს შენი გადია, ჩემო ტურფავ... წუალთან-კი ასლოს ნუ ირბენ, შიგ არ ჩავარდე, შენ ხომ ჩემი გამგონე ქალი ხარ,—ეუბნებოდა გადია და რაც ძალა და ღონე ჰქონდა ამთქნარებდა.

ვაჟებმა დაიწყეს ანკესების მზადება. გადია წინდით ხელში ჩდილოში დაჯდა და ჩქარა თვლემაც დაიწყო! თამარა-კი სიმღერით ეკვავილებსა ჰკრეფდა. ლაჟვარდ ცაზე მზე ბრწყინვალეთ აშუქებდა, ჰაერში ფრინველების საამური ჭიკჭიკი მოისმოდა. ნიკო და ერეკლე ხმა მაღლა კისკისებდენ, უხაროდათ როცა იმათ ანკესებს წულიდან ზედი-ზედ თევზები ამოჰქონდა:

სულელი თევზები ეოველ წამს ედებოდენ ანკესს.

— მოიცა შე შფოთო, შენა!!. როგორ ფართხალობს!.. დახე გამექცა, ბალახში ჩავარდა, დამაცალე, ვერ გამექცევი, ვერა! დაიძახა ნიკომ.

თამარა მივიდა თავის ძმებთან და ჩახედა ჩალხანას, რომელშიაც ჭუჭპალაობდენ თევზები.

— აი ეს შფოთი! ეს იეო რომ ისე ხტოდა, უთხრა ნიკომ დას და ჩააგდო ჩალხანაში საცოდავი ცქვიტუნა-ცქიმურა.

— როგორ ფართხალობს ეს პატარა თევზი, როგორ

ხტუნაობს! ერთი შეხედეთ, კუდს როგორ კლაკნის! — ეუბნებოდა ძმებს ჰატარა გოგონა.

— ბავშებო! ახლა რას იზამთ, მოხარშავთ ამ თევზებს თუ შესწვავთ? ჰკითხა თამარამ ძმებს.

— რას ამბობ თამარო, განა არ იცი რომ ეს თევზები ცქიმურეებია და ამათი ჭამა არ იქნება? ცოტახანს ვითამაშებთ და მერე გადავწერით — უპასუხა ერეკლემ. თამარა ჩაფიქრდა.

ნიკომ ანკესზე ჭიაყელა აგო და უნდოდა წყალში ჩაეშვა.

— ვაი! ვაი! ვაი! — ერთბაშათ შეჰყვირა თამარამ და უნდოდა გაქცეულიყო, მაგრამ თითში რაღაც შეერჭო.

ჰატარა გოგონამ ქვითინი მორთო.

— ანკესია, ანკესი. წამოიძახა შიშისაგან გაფითრებულმა ნიკომ.

გადია უმალვე თამარასთან გაჩნდა. ჩაიხუტა ბავში, თან ჰატარა გოგონას აჩუმებდა, და თან ცდილობდა თითიდან ანკესი ფთხილათ გამოეღო

— ოი, როგორა მტკივა, მიშველეთ რამე, მტკივა და რავქნა. საცოდავათ აქეთ-იქით აწუდებოდა ბავში და თან მალზე ქვითინებდა.

— დაჩუმდი, დაჩუმდი, შენ გენაცვალოს შენი გაღია, ჩემო გვრიტუნავ, ვიცი რომ გტკივა, ახლავე გენაცვალე, ცოტა კიდევ მოითმინე, ჩემო შვენიერო. აი, ჩემო სი-

ცოცხლევ, კიდეც ამოვიღე ანკესი, ახლავ წულით მოგბან. დამშვიდდი, თამარო ჯან. უ, უ, უ, შე ბოროტო შენა! გაჯავრებით დაემუქრა გადია ნიკოს.

— უცაბედათ მომივიდა, უცაბედათ, ღმერთმანი, იმართლებდა თავს ნიკო.

თამარამ გადიას თავი კალთაში ჩაუდო და ოდნავღა სლოკინობდა. ძმები დარცხვენილნი და გაჩუმებულნი თავს ადგნენ...

— გადია, ჩემო გადიავ! ნამტირალევი შეეკითხა ბავშვი.

— რა გინდა ჩემო, ჰაწკუნავ, რა? მითხარი შენგენაცვალოს შენი გადია.

— მითხარი, გადიავ, თევზებსაც ხომ ასე ეტკინებოდათ, როცა ისინი ანკესებს მოხვდებოდენ?

— აბა, როგორ არ ეტკინებოდათ, შენი ჭირიმე, იმათ ხომ ჰირში გამოზდებენ ხოლმე ჩანგალს და გამოსწევენ, რა საკვირველია ეტკინებათ.

— ნიკო, ერეკლე, გეხვეწებით, მალე გაუშვით საწყალი თევზები, მალე, ნუღარ აჩერებთ, გაუშვით ეგ საცოდავები წყალში, თქვენ არ იცით, როგორ ეტკინებოდათ, რა ძნელია, რა გულ-დამწველია ეს ტკივილი.

ნიკომ საჩქაროთ დაავლო ხელი ჩალხანას და წყალი თევზებიანათ მდინარეში გადაასხა.

— წადით ისევ მდინარეში, თქვე საცოდავებო წაიბუტ-ბუტა ნიკომ.

ბავშებმა თავიანთი ანკესები შეინახეს, ჭიაუელები-კი გადაუარეს.



დიდათ გაეხარდა თევზუნა-ცქვიტუნა-ცქიმურას, როცა, ისევ თავის საუვარელ მდინარეში დაბრუნდა; გარშემო შემოეხვივენ "ეველა თევზები, ეველას უამბო თავის თავ-გადასავალი და ისიც, რაც წელის ნაჭირზე ნახა: ანკესები, ჩანგლები, ჩალხანა და ჰატარა გოგონა. თევზუნა-ცქვიტუნა-ცქიმურას ნაჩანგლი მალე მოურჩა და კვლავ დაიწყო მდინარეში ცხოვრება, მაგრამ ისეთი მხიარული აღარ იყო, როგორიც უწინ.

ვ. მიქაბერიძისა.

(გადმოღებული)

ხალხური.

(წარმოდგენილი ს. დათუაძისაგან).

სანამ მქონდა ფულები,
ვჭამე ხაჭაპურები;
როცა შემომელია,
ჩამოვყარე ყურები.

ანგარიშს გარდა აი, კიდევ რა დაიწერება ციფრებით.

საახალწლო.

კანასკნელი დღე დეკემბრისა თავდებოდა. საამურათ მოწმენდილი ცა, მოჭედილი მთვარითა და ვარსკვლავებით, შეენიერი სიტკბოებით და სიჩუმით უცდიდა თოფებისა და დამბაჩების გრიალს, თითქოს საყურებლათ გადმომდგარიყვენ, რა ამბავი მოხდებაო.

— ესიკელა ჩვეულაძის ოჯახში არავის არ სძინავდა. ყველა საკალანდო ნაზუქების მზადებაში იყო, ჩამოქნილი გრძელი თეთრი „ჩიჩილაკი“, მიკიდული კედელზე, მოგაგონებდათ თავის ათასნაირი მოწყობილებით გურულ ტანისამოსში ჩაცმულ კაცს. იქ კაკვზე ჩამოკიდებულს დაკლულს დიდ მსუქან ღორს დაეხრჭინა კბილები, თითქოს დასცინისო ამდენ ფაცაფუცსაო. ჯაჭვზე ჩამოკიდებულ ქვაბში თიხთიხებდა ჩაყენებული ხორცი ორთქლით მატარებელსავით. აი, ამ საკალანდო მზადებაში ყველა მონაწილეობას იღებდა პატარა ზარმაც გიგოს გარდა, რომელმაც ვახშამს შემდეგ არხეინათ დაიძინა. როცა კუჭის საწილო, რომლითაც დიდად ბედნიერდება ყოველი ახალი წლის

დღესასწაული, მოამზადეს; ჩამოქნეს სანთელი, ამოიღეს საკალანდო ღვინო, ჩაჰყარეს ღომისა და სიმინდის მარცვლები კოთხოში და ამ გვარათ მოამზადეს მარანში წასასველელი ლიტანიობა. ყველას სახეზე სიამოვნებისა და სიხარულის ღიმილი ინიშნებოდა, აქ თქვენ ვერ ნახავდით მოწყენილ არსებას, თითქმის ძაღლიცა და კატაც კი იღებდენ ამ საერთო სიხარულში მონაწილეობას.

— ბეჩა, გიგო ქე არ დაგვაეიწყდა? სადაც არის, კიდეც გეისროლიან თოფებს და, ეაი! არ აჯობოს?.. წამოიძახა ესიკელას მეუღლემ და გაეშურა გიგოს გასაღეიძებლათ, რომელსაც ბევრი ღვიძება არ დასჭირებია, რადგანაც თვითონვე კარგათ იცოდა რისთვის აღვიძებდენ; წამოხტა საჩქაროთ და იმ წამსვე შეჭამა ერთი ლუკმა მჭადი მარილით და გადარჩა დამარცხებასა.

ის იყო, ემზადებოდენ მარანში წასელას, რომ ვიღამაც გაისროლა თოფი, ამას თან მოაყოლეს სხვებმაც და შეიქნა თოფების განუწყვეტელი გრიალი.

ესიკელამაც გამოიტანა თავის მაჭახელა და გაისროლა რამდენჯერმე, მერე გასწია მარანში ჯალაბობით; ცოლი კი სახლში დარჩა. ესიკელამ თან წაიღო „ჩიჩილაკი“ მოწყობილებით, სამჯერ შემოუარეს მარანს მარცელების ფრქვევით, მერმე გამოსწიეს სახლში შესასველელათ; მაგრამ კარები დაკეტილი დაუხვედათ. დაკეტილ კარს მიადგა ჩვენი ესიკელა და წამოიძახა: „კარი გამიღე!“ “რა მოგაქვს?“ მოისმა სახლიდან. „ბედნიერება, სწაელა, დღეგრძელება, მშვიდობა, სიყვარული, სიხარული, ძმობა და ერთობა; „კარი გამიღე“ მეორეჯერ. „რა მოგაქვს?“ სიმდიდრე, ოქრო, ვერცხლი, თვალ-მარგალიტი, იარაღი, მოჭედილი ფიშტო, თოფი, ხმალი და ხანჯალი მტრის შესამუსრათ, მამულის დასაცველათ. „კარი გამიღე!“ მესამეჯერ. „რა მოგაქვს?“ ცხენის ჯოგი, ძროხა, ხარი, კამეჩი, ჯორი, ბატი, ქათამი და სხვ. გაიღო კარი. შემოიარეს სახლშიც სამჯერ მარცელების ფრქვევით და ამით გაათავეს ღამით ახალწლის მიგებება.

გათენდა კალანდა, ღმერთმა თქვენც მრავალი ახალიწელი გა-

გითენოსთ ბედნიერათ, ძვირფასნო ყმაწვილებო. ჩვენი ესიკელა ადგა ჯალაბობით, სიხარულით მიეგება ახალწელს. წავიდენ ეკლესიაზე, სადაც მლოცველთა ტევა აღარ იყო, მოისმინეს წირვა სთხოვეს უფალს ბედნიერება და სიყვარული არა მარტო თავიანთთვის, არამედ ყველა ქართველთავის, რადგანაც ლოცულობდენ ესე: „ღმერთო დაგვასწარი მრავალ კალანდას*) მშვიდობით ჩვენებიანთ. დიდებულო უფალო, შენ მოგვისპე ყოველი უსამართლობა, მოგვანიჭე ერთმანეთის სიყვარული და თავისუფლება.„

გამოვიდა წირვა, დაცალეს თოფები, რომელსაც ქალებმა მიაყოლეს შემდეგი წყევა: „ჩვენ საერთო მტრებს მოხვდეს გულში, დამარცხდეს ჩვენი საერთოთ ხელის შემშლელი. ჩვენ ერთად მოგვეცი, ყოვლის შემძლევ, გამარჯვება.“ ულოცავდენ ერთმანეთს ბედნიერ დღეგრძელობას და მშვიდობას.

მეც გილოცავთ წრფელის, გულით, ძვირფასნო პატარა მკითხველნო, ბედნიერებას, ერთობას, ძმობას, განათლებას და გამარჯვებას. ყოველივე სასიკეთო საქმეში გაუმარჯოს ქართველებს, აგვიყვავდეს საქართველო. ერთნი ვართ, საყვარელო ძმებო, ხელივით, რომელსაც ხუთი თითი აბია, ქართლელ-კახელი, იმერელ-გურულ-მეგრელი, აბხაზ-სვანები და ყველა ქობულეთელ-აჭარლები. ერთნი ვართ და ეს ერთობა, ჩემო საყვარელო მკითხველო, ჩვენი შემწეობით უნდა გამაგრდეს, ჩვენით უნდა შეიქმნან ბედნიერნი, მხიარულნი, მოყვარულნი არა თუ მარტო ახალწელს, არამედ უკუნითი უკუნისამდე.

ვიყოთ ერთად, გექონდეს ძმობა და ჩვენ ვიქნებით ბედნიერნი და გამარჯვებულნი. გილოცავ ახალწელს, გილოცავ ამ აზრების ზრდას.

ჩოხატაურელი.

---

*) კალანდას გურიაში უწოდებენ ახალწლის დღესასწაულს.

ათი წლის სიმდიდრე.

(ზღაპარი)

ყო ერთი ძალზე ღარიბი კაცი. არაფერი არა ებადა-რა, არც სულიერი, არც უსულო. მუშაობდა, ცუდათ ერთი საათიც არ ახსოვს რომ გაეტარებინოს, მაგრამ კიდევ ასე უწყალოთ ღარიბი იყო და ცოლ-შვილი ნახევრათ მშიერ-ტიტვლები ჰყვანდა. ცოლიც სულ ებუზღუნებოდა, სხვები მდიდრებია, შენ ღარიბი ხარო.

— ვიცი რო ღარიბი ვარ, ეტყოდა ქმარი, ვიცი რო მდიდრებიც არიან და კიდე უფრო მეტი ღარიბები, სულ-გამწარებულები, მაგრამ რა ექნა? აბა შენ მასწავლე და მეც ისე მოვიქცეიო.

— „ხომ ჰხედავ, წელებზედ ფეხს ვიდგამ და დღიური საზრდოც ვერ მიშოვნია, რომ ტიტველი დავიფაროთ და მშიერი მუცელი გავიძღოთო.

როცა მარტოკა დარჩებოდა, დაიწყებდა ფიქრს თავის სიღარიბეზე და უბედურ ბედზედ. არ იქნა ვერადა-ვერ იპოვნა მიზეზი თავის სიღარიბისა. ვერ იტყოდა, თუ აი ამადა ამ კაცმა გამომწუწნა ისე, თითქო ობობასგან გამოწუწნული ბუზიაო. ყველაფერი ღვთისაგან დაწერილად სჯეროდა და იმისი დაწუნება ღვთის გმობად მიაჩნდა. ვისაც რა უწერია, ის უნდა გადახდესო.

— ეჰ, იტყოდა ამოოხვრით, ასე მიწერია და ასე ძაღლურათ უნდა ამამძვრეს სულიო.

ცოლი კი-მაინც თავისას არ იშლიდა. როცა გაუხდელი, სველი, ტალახიანი ტანისამოსით ჩაეგდებოდა დაკონკილ და დაბრანძულ ლოგინში, მაშინ გაუცხოველდებოდა თავისი სილატაკე და აუტეხდა დავიდარაბ.ს ქმარსა: შე ასეთ-ისეთო, თუ მაგის მეტი თავი არა გქონდა ცოლშვილის ცოდოს რაღათ იკიდებდიო.

— რა გიყოთ, ადამიანო, მოვიპარო, მოვკლა, გავცარცვო, მოვიტაცო, მოვატყუილო ვინმე?! ღმერთია მოწამე, მე გარჯას არ ვაკლებ, ვირივითა ვმუშაობ, და აი ხო ხედავ ქვა გვაქვს და კბილი გვეწყალება. ახლა რო სხვისა ოფლი შევჭამო, მაშინ ხო უფრო ღმერთი გაგვიწყრება, ალალი ოფლით ვერა ვცხოვრობთ, არმით როგორ ვიცხოვრებთ?

— არა, შენმა სიცოცხლემ, ვინც მდიდარია, სულ შენსავით მუჭით იწმენდენ ოფლსა, არა? ჩაძოსწყეველიდა ცოლი, და რაკი გულს მოიოხებდა, დაიფარებდა პირზე საბნის ნაფლეთს, რომ სითბო ლოგინში დაჰბრუნებოდა.

ასე მიდიოდა დრო და თუმცა მდიდრები უფრო მდიდრდებოდენ, იმის სილარიბეს არა უშველა-რა. ბევრჯელ იფიქრა გიორგიმ, ასე ეძახდენ იმ კაცს, მდიდრები ისევინიდისებენ და ცოტაოდენ რამეს მაინც გამამიგზავნიანო, მაგრამ მდიდრებს ფიქრათაც არ მოსვლიათ გიორგისათვის მიეწოდებინათ რამე.

თვითონ კი ვერა ჰბედავდა, რომ ამდგარიყო, მისულიყო მდიდართან და ეთქვა: ხო ჰხედავ, მე სიმშილით ცოლშვილი მეხოცება, შენ ორმო-ბეღლებში ტილი გიჭამს ძველის-ძველ პურსა, მოგვეცი, რო ჩვენც გავძღეთ და შენც ორმოებში ტყუილათ აღარ გაგიფუჭდეს პური.

* * *

ერთხელ გაბედა გიორგიმ და თავის გამდიდრებულ მეზობელთან მივიდა, უნდოდა ეკითხნა, თუ როგორ და საიდან შეიძინა ამოდენა სიმდიდრე.

— ღმერთი გადღეგძელებს, კი ნუ გამირისხდები, ოხანეზ, მინდა გკითხო რამე, ჭკვიანი კაცი ბძანდები. ოხანეზა კარგათ იცნობდა გიორგის და ცოტა არ იყოს გაუკვირდა, რომ ეს მიუკარებელი კაცი თავის კარებზედ დაინახა.

— ბძანე. გიორგიჯან, ბძანე. უთხრა ოხანეზამ.

გიორგიმ დაიწყო:—ე მე და შენ ხომ მეზობლები ვართ, ე მამაშენს ვიცნობდი, რაც იყო. შენც არახარ ჩემზედ კაი კაცი, მაგრამ მე ასე ღარიბი ვარ, შენ ვინ მოგცა ეგ მაგოდენა სიმდიდრე?

ოხანეზამ ახედ-დახედა გიორგის, ჭკუაზედ აფრაკათ ხომ არ არისო და რაკი ნახა გიორგი არხეინათ იდგა და პასუხს ელოდა, ამაყათ უპასუხა:

— ღმერთმა, გიორგი, ღმერთმა.

— ერიჰაა, მაშ ადვილი ყოფილა გამდიდრება, იფიქრა გიორგიმ და წავიდა. სახლშიაც აღარ მისულა, პირდაპირ საყდრისკენ წავიდა, მაგრამ საყდრის კარი დაკეტილი დახვდა. მართალია პირჯვარი დაიწერა და კედლებს ემთხვია, მაგრამ ეს ლოცვა ლოცვა არ იყო. უნდოდა ერთი გულიანათ შეჰვედრებოდა ღმერთსა. ძლივ მოელოდა საყდრის კარის გაღებას. დარეკა თუ არა მღვდელმა მწუხრი, გიორგი მაშინვე იქ დაიბადა, დაიჩოქა ხატების წინ და ილოცა, სანამ ლოცვა გამოვიდოდა თავი მაღლა არ აუღია, ლოცვაში, რასაკვირველია, ღმერთს სიმდიდრესა სთხოვდა.

— რასა სთხოვ მაგრე გულიანათ ღმერთსა, შვილო, ჰკითხა მღვდელმა. აბა გიორგი სულის მოძღვარს როგორ დაუმალავდა, რაც გულში ედო და ეწადა, ყველაფერი გულახდით მოახსენა მღვდელსა.

—ილოცე, შვილო, მაგრამ მღვდელი, ხო იცი, ღმერთთან შუაკაცია. რაც მღვდლის ლოცვასა და ვედრებას გაიგონებს, შენს ლოცვას რა ყურადღებას მიაქცევს. წადი, ღვთის წირვა მოახერხე, ღვთის ვედრება გადაეხადოთ, ცხვარი იშოვე, მე ვწირავ და შენს მაგიერად შევეხვეწები ღმერთს, რომ გაგამდიდროსო.

წავიდა გიორგი, მიიქექ-მოიქექა, სადაც იყო ერთი ორ მანეთიანი თოხლი იყიდა, აწირვინა მღვდელს, თვითონაც გულიანად ილოცა, დაჰპატიჟა მღვდელ-დიაკვანი თავის „ტარასტით", კარგათ დაითრო და მღვდელ-დიაკვანიც დაათრო. მერე ღულდაჯერებულმა, რომ ახლაკი შეისმენს ღმერთი ჩემს ვედრებას და გამამდიდრებსო, დაუწყო ლოდინი, ან ახლა ჩამამიყრის ღმერთი სიმდიდრეს ზეციდან, ან ახლაო.

ზამთარი იყო. სიცივით ყვავებიც კი იხოცებოდენ და ვენახებში კაკლებ ქვეშ აქა-იქა ეყარა. გიორგის ცოლ-შვილიც სიცივემ ძალიან შეიღრჯოვა და ერთმანერთს ეკვროდენ. გიორგი კი იჯდა და მოელოდა, ან ახლა მომადგება კარზე შეშის ურემი, ან ახლაო, მაგრამ შეშა მუქთად არავის მოჰქონდა, ცოლი კი უარესად სწყევლიდა და ჰქოქავდა. მღვდელ-დიაკვანი რო არ დაგეპატიჟნა, შე ჭირის გასახეთქო, კიდევ ერთი თუმანი მოგინდა ღვთის-წირვისათვის, იმ თუმნით შეშა რო გვეყიდნა, ამ ზამთარს მედა ჩემი შვილები ბატონებივით გავატარებდითო.

* * *

როგორც იყო ის ზამთარი ვაივაგლახით გააჩანჩალეს.

გიორგის იმედი არ გადუწყვეტია, ალბათ ვერ გაიგონა, ან ჩემთვის არა სცალიანო. იმდენს ვეცდები, რომ გავაგონებო.

ბევრი ფიქრის შემდეგ გადასწყვიტა, უნდა მკითხავთან წასულიყო და ეკითხვინებინა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო. თუ რა უთხრა მკითხავმა, არავისთვის არ გაუმხელია, ეს კია მეორე დღესვე საგძალი ჩაიდო, რკინის ქალამნები ჩაიცვა, რკინის ჯოხი დაიჭირა და ერთი მაღლი მთისკენ გასწია. ყველაზე მაღალი ის არის და იქიდან ადვილათ გავაგონებ ღმერთსაო. ეს მთა ყველა სხვა მთებზედ მაღალი იყო და ძირიდან რო შესცქეროდა, ასე ეგონა ცა ზედ აკრავსო.

ბევრი იარა, ძალიან ვაი-ვაგლახიც გამოიარა, მაგრამ ბოლოს

თავისი გაიყვანა და ავიდა იმ მაღალ მთაზედ. ბევრი ილოცა, ძალიან ბევრი ეხვეწა ღმერთს და ბოლოს დაიძინა...

შეისმინა ღმერთმა იმისი თხოვნა, მთავარ ანგელოზი დაიბარა და უბძანა, წადი ქვეყანაზე და იმ კაცს მიეცი, რასაც ითხოვს, მხოლოდ ვადით კიო. გადმოფრინდა მთავარ-ანგელოზი ზეციდან იმ მაღალ მთაზე და ძილში გამოეცხადა გიორგის.

— შეისმინა ღმერთმა, შენი თხოვნა, გიორგი, ითხოვე, რაც გინდოდეს, მხოლოდ ეს იცოდე ვადით-კი მოგეცემაო. გიორგომ სთხოვა სიმდიდარე და ვადაც ათ წელიწადზედ შეთანხმდენ. გიორგიც ამ ათ წელიწადს უნდა მდიდარი ყოფილიყო, რამდენიც უნდოდა, იმდენს მისცემდა ღმერთი, გათავება არ შეიძლებოდა, მხოლოდ ათი წლის შემდეგ კი ისევ უნდა გაღარიბებულიყო. გიორგი რას არ დათანმხდებოდა, თუნდა ერთი დღით მიეცათ, ოღონდ კი ეგრძნო და ენახა იმასაც, თუ რა იყო სიმდიდრე, ან რა გემო ჰქონდა. გამოეღვიძა გახარებულ გიორგის. ჰხედავს, ისეთი ტანისამოსი აცვია, სულ პრიალი გააქვს. ჯიბე და უბე სულ ოქროთი აქვს სავსე.—ეჰ, მადლობა ღმერთს, ესეც ხომ მომცა ღმერთმა სიმდიდრე; ამ ათ წელიწადში მე ვიცი, როგორც ყველაფრით გულს ვიჯერებო.

მოდის გიორგი სახლში, ჰხედავს რომ თუმცა თვითონ გამდირდა, მაგრამ ეს ამოდენა დუნია ისევ ისეთი ღარიბია, მშიერ-ტიტველი, დაჩაგრული, დაბეჩავებული, დამონებული. აღარც საქონელია საქონლის მსგავსი, როგორც იმას მდიდრებისა უნახია, არც ჭინახული და ვენახ-ბაღებია ამ საწყალი ხალხისა ისე აღელვებული, როგორც მდიდრებისა. ამოდენა გაჭირვებისგან საწყალი ხალხის შვილებს ზრდაც კი არ ეკიდება, რაღაც ცეროდინა ნაღინტალევებია ჰგვანან. მოაგონდა თავისი სისაწყლეც და მაშინვე გადასწყვიტა, რასაც ღმერთი სიმდიდრეს მისცემდა, სულ ამ საწყალი ხალხისთვის დაერიგებინა.

ეგრეც მოიქცა. წავიდა და სადაც მთელი ქვეყნის საქარავნო გზები იყრებოდა, იქ აიშენა სახლი. მე ვიცი რასაც ეუზამ ღვთისგან

მოცემულს სიმდიდრეს, ფიქრობდა გიორგი. რათ უნდა ღმერთს სიმდიდრე, რაც ღვთისაა, ჩვენი არ არის, კაცებისა?! მხოლოდ კაცებს ვერ გაუნაწილებიათ ერთმანეთში ეს სიმდიდრე ისე, რომ ყველამ დაიკმაყოფილოს თავისი საჭიროება და გაჭირვებული აღარ იყოს. ერთმანეთის გაჭირვებას არაფრად ვაგდებთ. ესარგებლობთ სხვისა გაჭირვებით და იმის წილს ღვთისგან მოცემულ სიმდიდრესაც ჩვენთვის მივათრევთ, იმას-კი ცარიელს ვუშვებთ ღმერთს ყველასთვის საკმაო საზრდო და სარჩო გადმოუყრია ქვეყანაზე და ვინც ღონიერი და მარდი ყოფილა, უფრო მეტი წაუღია, ვიდრე სუსტსა და უძლურსაო.

მოჰყვა გიორგი და ვისაც რა უჭირდა, ყველას ყველაფერი მისცა.

ჰკითხავდა გამვლელ-გამომვლელს, ვისაც რა გაჭირვება ჰქონდა და იქვე უსრულებდა გულს, მშიერს აჭმევდა და რამდენიც იმისთვის საჭირო იყო, ან იმის ცოლ-შვილისთვის, უგზავნიდა ან თვითონ მიჰქონდათ,

მგზავრს, ფეხით მოხეტიალეს, ვისაც რის შნო და უნარი ჰქონდა, ისე ისტუმრებდა, ზოგს ცხენით, ზოგს ჯორით და სახედრით, ზოგს ეტლით და ტრახტრევანით. ხარი ეჭირვებოდა ვისმეს, თუ კამეჩი, გუთანი და სხვა სამუშაო იარაღი, ყველას აძლევდა. ვისაც მიწა არა ჰქონდა ყიდულობდა და აყენებდა მიწაზე, რომ რამდენის მოვლის თავიცა ჰქონდა, მოეფლო და შეემუშავებინა. ერთი სიტყვით, ვისაც რა ეჭირვებოდა და არა ჰქონდა, ყველას ხელს უმართამდა.

გავარდა ქვეყანაზედ იმისი ხმა, მოდიოდა და მოდიოდა განუწყვეტლივ ხალხი. ღარიბ-ღატაკი, მშიერ-ტიტველი, მუშა და ხელოსანი, ნასწავლი და უსწავლი. ყველას წოდებისა რჯულისა და ეროვნების განურჩევლად, საქმეზედ აყენებდა, თავის ბინასა და საკუთარ საქმეს უჩენდა. მაგრამ იმას სიმდიდრე მოსდიოდა და მოსდიოდა, არაფერი არა აკლდებოდა-რა. მოდიოდენ მდიდრებიც და

შორიდან შურით შესცქეროდენ. ჯერ იძახდენ: სწორეთ დასაბმელი გიჭია, ღმერთს სარჩო მიუცია და ეგ თავისთვის არ ინახავს და ქვეყანას ურიგებსო. ბოლოს და ბოლოს დაემუქრნენ კიდეც, თუმცა ის მდიდრებს არც ართმევდა რასმეს, არც სტაცებდა. არც სხვა ვინმე ჰპარავდა და აკლებდა მდიდრებს რასმეს, რადგან ყველას ყველაფერი ჰქონდათ და რიღასთვის მოიპარავდენ, ან გასცარცვავდენ. დიაღაც ასე იყო და ცხადათ სჩანდა, რომ რამდენიც მეტი სიმდიდრე იყო ხალხის მცირე ნაწილის ხელში, იმდენად გაერცელებულიყო ავკაცობა და კვლა და ცარცვა. რაც გიორგიმ სიმდიდრე საყოველთაოდ გახადა, ეს ავკაცობა და ბოროტება სულ მოისპო. კიდევ ის იყო მდიდრების დარდი, რომ იმათი სიმდიდრე კვამლივით სადღაც ქრებოდა თანდა-თან და ეღარ უმატებდენ თავის შენახულობას.

რაკი ყველას თავისი პური ჰქონდა, მდიდრებისგან შენახული პური სულ ბეღლებსა და ორმოებში ლპებოდა, ვინღა იყიდდა იმათგან? მდიდრების მიწები მოუხნავი რჩებოდა, საღალოდ აღარავინ ხნავდა. ვენახები შეუმუშავებელი, ყანები მოსამკალი, ბალახი გაუთიბავი. საქონელი უმწყესოთ და უპატრონოთ რჩებოდათ. მოჯამაგირეთ აღარავინ დგებოდა. ეაჭრებს მთელი იმოდენა ფართალ-ფურთალი და სხვა საქონელი დუქან-მაღაზიებში ულპებოდათ და-უოხრდებოდათ. მდიდრების სარჩო-საბადებელი შარშანდელ თოვლივითა ჭქრებოდა. ავ-დღეს დააყენებდენ გიორგის, თუ ხელს მიუწვდენდენ, მაგრამ ცხადად ვერაფერსა ჰბედავდენ, რადგან ეს ამოდენა ხალხი სულ გიორგის მზეს ლოცულობდა. მიდიოდა ხანი, მიიწურა მეათე წელიწადიც, გიორგი კი მაინც თავისთვის არ ზრუნავდა, ხალხი ისევ განუწყვეტლივ მოდიოდა და მოდაოდა ყველ მხრიდან. ექვსი თვეღა დარჩა. გიორგის მხოლოდ იმისი დარდი ჰქონდა, რომ ამ ათ წელაწადში იქნება ისეთი დამრჩა ვინმე, რომ გაჭირვებიდან ვერ გამოვიყვანეო.

ეახლა მთავარ-ანგელოზი მამა ღმერთს, რომელიც ზეცაში

ტახტზე ბძანდებოდა, დაუჩოქა და გულის კანკალით მოახსენა: „დიდებულო ღმერთო, ცისა და ქვეყნის მპყრობელო და გამჩენო, შენ რო ინებე და ერთი მიწიერი გაამდიდრე და ვადათ ათი წელიწადი დაუდე, ექვსი თვე ღა უკლია, შენი სიმდიდრე სულ საწყალ და გაჭირვებულ ხალხს დაურიგა, ლამის შენი ხაზინა დაცალოს. თუ ახლავე არ მიეშველე და იმას ლაგამი არ ამოვდე, შენს ქონებას სულ გააბნევსო. მიბძანე, წავალ და სულს ამოვხდიო“.

მოისმინა მამა-ღმერთმა მთავარ-ანგელოზის სიტყვები, სიამოვნებით გაიღიმა და უბძანა:—წადი, იმ კაცს ხელი არ ახლო, როგორც მოქცეულა, კიდევ ისე მოიქცეს მომავალშიაც,—ვისიც იყო ის სიმდიდრე, იმათთვისვე მიუციაო. ძლივს სადმე ქვეყანაზე მართალი კაცი ვიპოვნეო.

თ. რაზიკაშვილი.



მეფე თეიმურაზ II.

თეიმურაზ მეფის გურთხევა.

IV

ეცხეთას მეფეებს დახვდა ანტონი კათალიკოსი. ეს მღვდელთ-მთავარი, რომელმაც შემდეგში დიდების სახელი მოიხვეჭა, ქართლის მეფის იესეს (მაჰმადიანობაში ალი-ყული-ხანის) შვილი იყო და ვახტანგ VI მეფის ძმისწული. საქართველოს ეკლესიას ამისთანა ნიჭიერი, მხნე, მტკიცე ხასიათისა და განათლებული გამგე არა ჰყოლია. იმ დროს ანტონი სრულის ოც-და-ოთხის წლისა არ იყო და კათალიკოსად ორის თვის წინად დაედგინათ. მემატიანის სიტყვით, ანტონი თუმცა „ასაკითა იყო მცირე, მაგრამ სოლომონისა სიბრძნე-სა არა რად კლებულ-ექნებოდაო“.

ამ ბრძენს მღვდელთ-მთავარს მიანდო თეიმურაზ მეფემ აღდგენა გვირგვინის კურთხევის წესისა.

ადვილი საქმე არ იყო იმ წესის აღდგენა, რომელიც დიდიხანია გადავარდნილი იყო და დავიწყებული. თითქმის ორასის წლის განმავლობაში გამაჰმადიანებულნი საქართველოს მეფენი სპარსულის წესით ეკურთხებოდნენ. ეს კურთხევა უბრალო სადარბაზო ცერემონია იყო, რომელსაც უფრო ტახტზედ ასვლის სახელი შეეფერებოდა და არა მეფედ კურთხევისა. ახლად გამეფებული მეფე ტახტზედ ჯდებოდა, თავზედ გვირგვინს იდგამდა, დარბაისელნი წელზედ ხმალს შემოარტყამდნენ და თავზედ თვალ-მარგალიტს დააყრიდნენ.—ასეთი იყო გამაჰმადიანებულ მეფეების კურთხევის წესი, ზოგჯერ ამაზედ უფრო 'მემოკლებულიცა.

სულ სხვა იყო ქრისტეანე მეფის გვირგვინის კურთხევა. სადარბაზო ზეიმს გარდა ეს იყო საერო დღესასწაულიც და საეკლესიო წესიც, წმინდა საიდუმლოებით, მირონის ცხებით. ქრისტეანულის წესით ცხებული მეფე ღვთის დადგენილი იყო და ღვთის რჩეული. ამ გარემოებას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. თეიმურაზ მეფის წოდება ბეჭედზედ უწინ ასე იწერებოდა: „მე მონა ღვთისა, ძე დავითისა, ტახტს გამგედ მჯდომი ვარ კახეთისა“; კურთხევის შემდეგ-კი წარწერა ასე შეიცვალა: „ქრისტეს მონა მეფედ ცხებული საქართველოისა 1744-ზე“. კახეთის ჯანიშინი, ყაენის ვასალი, საქართველოს თვითმპყრობელად შეიქმნა, წყალობითა ღვთისითა. ასე ესმოდა თეიმურაზ მეფეს გვირგვინის კურთხევა.

ხალხის თვალშიაც გვირგვინის კურთხევა დიდის მნიშვნელობის მოელენად შეიქმნა, რადგანაც დამცირებულის ქრისტეანობისა და ქართველობის აღდგენასა და განდიდებას მოასწავებდა. ამიტომ ძველი კურთხევის წესი სრულიად უნდა ყოფილიყო აღდგენილი და დიდის ზეიმითა და გამოჩენებით შესრულებული, რომ ხალხს იმედი არ გასცრუებოდა.

განათლებული კათალიკოსი დროსა და შრომას არა ზოგავდა,

რომ გამოეკვლია და აღედგინა ძველებური წესი მეფის კურთხევისა ძველს ნაწერებში. მაგრამ ძნელი მარტო ისტორიული გამოკვლევა არ იყო. გვირგვინის კურთხევის ცერემონიაში ყველა დიდებულს გვარს თავისი წილი ჰქონდა და კათალიკოსს თვითოეულისათვის უნდა მიეჩინა მისის ღირსების შესაფერი ადგილი ისე, რომ არც ერთი გვარი დაემცირებინა და არც არავისთვის ეწყენინებინა. ეს საქმე იქნება ყველაზედ გასაჭირი იყო, რადგან ძნელად თუ შესჯერდებოდა თავის ადგილს მაშინდელი დიდებული—ურჩი, ამპარტავანი, იჭვიანი, ერთმანერთის მოშურნე და მოსისხლე.

მაგრამ ანტონი მეფის შვილი იყო და სულიერის მეფობის ღირსიცა, იცოდა სამართლიანად განგება საერო და სასულიერო საქმეებისა და ამიტომ სძლია ყველა სიძნელესა, ორ დღეში განაწესა დღესასწაულის რიგი და ყველას, სასულიეროს თუ ერის კაცს, მიუჩინა თავისი ადგილი.

V

მესამე დღეს საღამოს, ყველაფერი რომ მზად იყო, გამოვიდა მეფე თავისი სადგომიდან და მივიდა ანტიოქიას საყდრის წინ[1]) სადაც დიდი კარავი დაედგათ. დაბძანდა მეფე კარავსა, ეახლნენ დარბაისელნი და და გაეწყვნენ ყველა თავის ადგილს, ვინც ჯდომის ღირსი იყო და ვინც დგომისა,—წინადვე განწესებული იყო. მოიტანეს სამეფო შესამოსელი: პორფირი, ბისონი[2]) და დიადიმა ბოხჩებით, აგრეთვე ხელმწიფობის იარაღი: გვირგვინი, ხმალი, სკიპტრა და ქვეყნის სფერო, და დაუწყეს მეფეს მარჯვნივ და მარცხნივ.

მერე მოვიდა მცხეთელი მთავარ-ეპისკოპოსი არსენ შემოსილი. ეს იყო, პატრიარქის შემდეგ, პირველი გვამი საქართველოს ეკლე-

---

[1]) დღესაც დგას ამ პატარა ეკლესიის ნანგრევი არაგვის პირს.

[2]) წმინდა ტიდოს ტანსაცმელი, გრძელ პერანგსავით.

სიის იერარქიისა. მთავარ-ეპისკოპოზს წინ მიუძღოდნენ შემოსილნი მთავარ-დიაკონნი საკმეველის კმევითა, ჯვარის მტვირთველი [3]) ამართულის ჯვარით და მგალობელთა დასი ჯვარის გალობის გალობითა. წარდგნენ მეფის წინაშე, თავი დაუკრეს და ხელზედ აკოცეს. მისცეს მთავარ-ეპისკოპოზს სამეფო შესამოსელი და იარაღი, იტვირთა ამან ორსავე მკლავზე, წამოვიდა იმავე წესით და შეიტანა სვეტიცხოველის ეკლესიაში.

ამ დროს დარეკეს მწუხრის ზარიც. გაემართა მეფე თავის ამალით ეკლესიისკენ, ჰკრეს ქოსთა და სპილენძ-ჭურთა [4]) მოეგებნენ ეპისკოპოსნი მდინარით [5]) მოსილნი, თავი დაუკრეს ბატონს და დაიწყეს მწუხრის ლოცვა ტაძრის კარი-ბჭეში. მცირედი ლოცვა რომ შესრულდა, შეეიდნენ ეკლესიაში. აქ გარდიხადეს ღამის-თევა,—მწუხრი და ცისკარი.

მეორე დღეს სვეტი-ცხოვლობა იყო და მეფის გვირგვინის კურთხევა. ანტონი კათალიკოსმა უკლებლად გადაიხადა ორივე დღესასწაული პურის-კურთხევით, სანთლის გაყოფით [6]) და ზეთის ცხებით.

ამ ბედნერ დღეებს არა აკლდა-რა გარდა ერეკლე მეფისა, რომელიც შეუძლოდ შეიქმნა და გვირგვინის კურთხევას ველარ დაესწრო.

VI

გათენდა დილა. მოაფარდაგეს მეფის კარავი, მოიტანეს ოთხივე დროშა, დადგეს კარავის წინ და თითოს თავისი ჯარი შემოეხვია. მე-

---

[3]) ჯვარის-მტვირთველი, ძველის საეკლესიო წესით მიუძღოდა ყველა ლიტანიას, აგრეთვე მეფეს და ჯარს ლაშქრობაში.

[4]) ქოსი—დიდი დოლი, სპილენძ-ჭური—სპილენძის საუკეთესი.

[5]) წამოსასხამი, მანტია.

[6]) პურის კურთხევის დროს, ძველის საეკლესიო წესით, მღოცველებს სანთლებს დაურიგებდნენ, როგორც ადდგომის ცისკარზედ.

ფე რომ კარავს დაჯდა, მოვიდნენ დასნი სამღვდელოებისანი შემოსილნი. კარის დეკანოზსა ხატი პატიოსანი თავს ედვა, ჯვარის-მტვირთველსა ჯვარი ეჭირა, მთავარ-დიაკონნი საკმეველს აკმევდნენ, უკან მღვდლები მოსდევდნენ, ყველას დიდრონი კელაპტარი ხელთ ეპყრა და მგალობელნი გალობდნენ. მოვიდნენ ყველანი და მეფეს თავი დაუკრეს. წარდგა კათალიკოსის არქიდიაკონი მეფეს დიპტეილა მოახსენა [7]) და ბედნიერი მეფობა უსურვა. მას შემდეგ მიიწვიეს ბატონი ეკლესიას და სამღვდელოება წარუძღვა წინ იმავე რიგზე.

ჰკრეს ქოსთა და სპილენძ-ჭურთა და წამოვიდა პროცესია. ყველაზე წინ მორთული აქლემები მოდიოდნენ, ქოს-ნაღარა და სპილენძ-ჭურებ-აკიდებული; ამათ მოსდევდა სარდლის დროშა და მას შემდეგ მოჰყავდათ შეკაზმული მარქაფანი [8]); მერე კარის მოხელენი, რომელთაც მიუძღოდა ბატონის სიძე დიმიტრი ორბელიანი,—მანდატურთ-უხუცესი [9]) და გამგე დიდებულის კარისა, და ზაალ ორბელიანი, რომელსაც ებარნენ წინამძღოლნი მეთოფენი მეფისანი. მოგრძანდებოდა ბატონი. მარჯვნივ მკლავი სარდალს ქაიხოსრო ორბელიანს ეპყრა და მარცხნივ—კოსტანტინე მუხრან ბატონს. ბატონს მახლობლად მოსდევდნენ დიდებულთა კაცთა შვილნი, რომელთაც მოჰქონდათ მეფეს სააბჯრო იარაღი, თითოს თითო იარაღი ეჭირა. და ბოლოს, სამივე დროშა თავიანთის ჯარებით აქეთ და იქით მოდოდიოდა.

ხალხი ურიცხვი, ქართლისა და კახეთის ყველა კუთხიდან მოდენილი, ჯიანჭველასავით ირეოდა და ამ უცხო და უნახავს ზეიმს ხარბის თვალით უყურებდა.

ეკლესიას რომ მიუახლოვდნენ, სამი დროშა ცალ-ცალკე კარ-

---

[7]) მრავალჟამიერობით მოხსენება მეფისა, მეფის სახლის შვილთა, სამეფობელოთა ჩამოთვლით და მთამოძღვლობისა მოხსენებით.

[8]) გამოსაცვლელი ცხენები.

[9]) სამეფო კარის პოლიციის უფროსი. მანდატური—ხელ-ჯოხიანი მეფეთ გარე მდგომი.

ზე დააყენეს და შეიარაღებული ჯარის-კაცნი ეკლესიაში შეიდნენ; ბატონის დროშა-კი, მურდარს [1]) დავითს რომ ეჭირა, შეიტანეს საყდარსა და აღსავლის კარზე დააყენეს. კარი-ბჭეში ბატონს მიეგებნენ კათალიკოსი, ეპისკოპოსნი და მღვდელნი შემოსილნი და თავი დაუკრეს. მერე ცალკერძ კათალიკოსი მოუდგა, ცალკერძ მთავარ-ეპისკოპოსი, სამღვდელო დასი წინ შეუძღვა, ხატითა, ჯვარითა და ანთებულის კელაპტრებით და ეგრე გალობით შეიყვანეს მეფე ეკლესიაში. ფიანდაზი ეშალა კარიდან ეკლესიის შუაგულამდე.

მიიყვანეს მეფე და აღსავლის კარის წინ, ამბიონის ქვემოთ, დაყენეს; ეპისკოპოსნი აქეთ და იქით მოუდგნენ; სომხისა და კათოლიკეთა სამღვდელო დასნი შემოსილნი იქვე იდგნენ და მოწიწებით ისმენდნენ. კათალიკოსმა, ამბიონზე მდგომმა, ჰკითხა მეფეს სარწმუნოება და აღთქმის ეპისტოლე წაუკითხა [2]). აქედან სამღვდელოება წაუძღვა მეფეს და მიიყვანეს ეკლესიის შუა-გულობას, სადაც დიდი ტახტი იყო ოთხ-საფეხურიანი, ზედ ორი სელი იდგა. აიყვანეს, ერთ სელზედ ბატონი დაბძანდა, მეორეზედ კათალიკოსი; მოუსხდნენ ცალკერძ მთავარ-ეპისკოპოსი და ცალკერძ ალაევერდელი, სხვანი ეპისკოპოსნი ექვსი აქეთ და ექვსი იქით გაეწყვნენ, ყველა თავის მიჩენილს ადგილს. მერე მოიტანეს ბისონი და ჩააცვეს მეფეს. დაიწყეს წირვა.

დრო რომ მოვიდა, ადგა კათალიკოსი და შეიდა წმიდა წმიდათასა. მიიწვიეს მეფე საკურხეველს, ცალი მკლავი სარდალს ქაიხოსროს ეპყრა და მეორე მკლავი მუხრან ბატონს; აღსავლის კარზე მთავარ-ეპისკოზი და ალაევერდელი მიეგებნენ და შეიყვანეს საკურთხეველს. სცხეს მეფეს საცხებელი შუბლსა, მხრებსა და გულზე ჯვარის სახედ; სთქვა კათალიკოსმა „სამლთო მადლი“ და შემდგომი; ჩააცვეს მეფეს ბისონზე დიადემა, წამოასხეს პორფირი, დაადგეს სა-

---

[1]) მუჭრდარ—სამეფო ბეჭდის შემნახველი, დამსმელი.

[2]) სარწმუნოების ერთგულობის აღთქმა.

მეფო გვირგვინი, მისცეს მარჯვენა ხელში სკიპტრა და მარცხენაში ქვეყნის სფერო. როცა მოვიდა დრო ზიარებისა, პირველად სამღვდელობა ეზიარა და მერე გამოასვენეს ბარძიმი და მიიღო მეფემ წმინდა ზიარება კათალიკოსის ხელით. მერე ჩამოართვეს მეფეს სკიპტრა და რევაზ ორბელიანს მისცეს და სფერო მეითარს [3]) ზურაბს; ეგრე ხელთ ეპყრათ და მეფის მახლობლად იდგნენ.

გათავდა ჟამის წირვა და გამობძანდა მეფე ცხებული საკურთხეველიდან, ცალკერძ კათალიკოსს ეპყრა მკლავი,—ცალკერძ მთავარეპისკოპოზს; მიიყვანეს მარჯვენა მხარეს სამეფო ტახტი რომ იდგა და დასვეს. მოიტანა ამირ-სპასალარმა [4]) ქაიხოსრო ორბელიანმა მეფის ხმალი, დაულოცეს და შემოარტყეს. ამის შემდეგ მოვიდნენ პირველად დასნი სამღვდელონი და მეფეს ხელზედ აკოცეს, მერე დიდებულნი და ბოლოს ხალხი და ჰკოცნიდნენ მეფეს ხელსა და ტახტის კვარცხლბეკსა. [5])

VII

დასრულდა კურთხევის წესი და გამოვიდა მეფე ეკლესიიდან. ტაძრის გალავანი ხალხს ვერ იტევდა. უზომო სიხარულით მიეგება ხალხი ცხებულს მეფეს და მისი ძახილი ცას ეწეოდა. შეიქნა ზარბაზნის და თოფის სროლა და ქოსთა და სპილენძ ჭურთა ცემა ისეთი, რომ ყურთა ხმა აღარ ისმოდა. მემატიანის სიტყვით, „მადლობდენ მორწმუნენი ღმერთსა, აკურთხევდენ დასნი სამღვდელონი, აქებდენ ერნი; ამკობდენ მგალობელნი, ლოცვიდენ გლახაკნი, აღამაღლებდენ ხმასა ქერიენი, შეფრფინვიდენ ობოლნი და ყოველნი სულნი შეასხმიდენ ქებასა მეფესა მეფეთასა“.—ასეთი იყო საერთო სიხარული და აღტაცება.

---

[3]) პატივცემული დარბაისელი, მეფის მახლობელი. აგრეთვე მეჯინიბე.
[4]) ჯარის მთავარი, უფროსი სარდალი.
[5]) საფეხური.

ეკლესიის ახლო იდგა კარავი ოქსინოთი [6]) მოფარდული, შეეიდა შიგ მეფე, დაჯდა სელზედ და დიდებულნი ქუდ-მოხდილნი თავს დააგნენ. მივიდა დედოფალი, მიულოცა და გადააყარა თეალი და მარგალიტი; მერე მივიდნენ მისალოცავად უფლის-წულნი და დიდებულთა ცოლნი.

რა გათავდა მილოცვის რიგი, წამოვიდა მეფე თავის სადგომისაკენ, იმავე დიდებითა და წესით, რომელიც ზემოთ მოხსენებულია. მეფეს აქეთ და იქით უდგნენ ისევ სარდალი და მუხრან-ბატონი და მკლავნი ეპყრათ; ამას გარდა პორფირის უკან სახელოები ეჭირათ ცალკერძ რევაზ ორბელიანს და ცალკერძ მეითარს ზურაბს. მივიდნენ მეფის სადგომსა, ოთხივე დროშა კარვის წინ ამართეს და თითოს თავისი ჯარი შემოეხვია.

დაიწყო დარბაზობა. დაჯდა მეფე ტახტზე და დიდებულთა შვილნი, რომელთაც მეფის აბჯარი ეჭირათ, თავს დაადგნენ. შემოვიდნენ ყიზილბაშნი, ყაენის წარმომადგენელნი, მიულოცეს მეფეს და დასხდნენ.

მიიწვიეს მოსალოცავად დარბაისლები, ვინც ჯდომის ღირსნი იყვნენ და ვინცა დგომისა. წამოდგნენ მდივნები და წაიკითხეს სამეფო დავთრები, რომელშიაც ჩამოთვლილი იყო მეფის საყმო სოფლები და მეკომურნი.

ამას შემდეგ გაიმართა მეჯლიში, რომლის რიგსა და წესს განაგებდა დიმიტრი ორბელიანი. შეიქნა დიდი ლხინი, თითქო ყველა ცდილობდა მეტი გულსავსება და სიხარული გამოეჩინა. დიალამც მართებდათ ქართველებს ასეთი სიხარული, რადგან დიდი ხანია არ ენახათ ქრისტე' მორწმუნე და სარწმუნოება-შეურყეველი მეფე, ახლა-კი მოეევლინათ ეს ღვთის წყალობა.

გვირგვინის კურთხევის შემდეგ მეფე დიდხანს არ დარჩენილა მცხეთას. კახთ ბატონს არ შეეძლო და ამიტომ დააშურეს ქალაქს ჩამოსვლა. რაღა თქმა უნდა, რომ მოქალაქენი დიდის სიხარულით მიეგებნენ კურთხევით გვირგვინოსანს მეფეს.

ალ. სარაჯიშვილი.

---

[6]) ძვირფასი ფარჩა

ფიზიკური გეოგრაფია.

(პროფესორი გეიკისა)

ჯაერი*).

IV. ნამი, ნისლი და ღრუბლები.

ოცა მზე ჩავა, ცა თუ მოწმენდილია, დედამიწაზე ბალახი და სხვა საგნებიც ნამისაგან ნოტიოვდებიან, სველდებიან. დილით ხედავთ ხეები, მდინარეები და მთა-გორაკები მსუბუქ ნისლშია გახვეული. ხოლო რამდენადაც მზე მაღლა იწევს, იმდენათ ნისლი თან-და-თან იფანტება და ბოლოს სრულიადაც ქრება. წელიწადის ყოველს დროს შეამჩნევთ ცაზე ღრუბლების გაჩენას, მათ სახის გამოცვლას, როცა ცაზე მიმოდიან. ყოველივე ეს ორთქლის შეკუმშვის შედეგია. ჩვენც გავიგოთ ეს შეკუმშვა რანაირათ ხდება.

ორთქლს ციცი ჰაერი ჰკუმშავს, ხოლო ორთქლი შეკუმშვის დროს მაშინვე სითხეთ, წყლათ-კი არ გადადის... ციცი სტაქანი რომ თბილს ოთახში შეიტანოთ, ჯერ იგი თხელი ნამით შეიმოსება, ხო-

*) იხილე ნოემბრის ნომერი 1904 წლის.

ლო შემდეგ სტაქნის გვერდებზე თან-და-თან ჩნდება წყლის წვეთები. ბუნებაშიაც ასე ხდება. წყლის ორთქლი სიცივისაგან ჯერ თხელ ნისლად გადადის. ასე რომ, სადაც არ უნდა დაინახოთ ნისლი ძირს, დედამიწის ახლოს, თუ მაღლა ცაში, თქვენ დანამდვილებით შეგიძლიათ თქვათ, რომ სადაც ნისლია იქ ჰაერიც ცივია. ამ ცივს ჰაერს მეტი ორთქლი ველარ დაუტევია და ეს მეტი ორთქლიც ნისლათ გადასულა.

მაშ რა არის ნამი? ნამი ის სისველეა, რომელსაც ჩვენ საღამოთი ან ღამით ვამჩნევთ ბალახზე, ხეების ფოთლებზე, ქვებზე და ზოგჯერ, წარმოიდგინეთ, ჩვენს საკუთარ თმაზედაც. არა ერთხელ დაგინახავთ ალბათ ხეების ფოთლებზედ მოკამკამე წვეთები. შეიძლება ეს ნამი ფოთლებმა გააჩინა? არა, მისი გაჩენის მიზეზი ჰაერია ისე, როგორც ოთახში შემოტანილ სტაქანზე ნამი ჰაერმა გააჩინა.

ღამით როცა ცა მოწმენდილია, დედამიწა მთელი დღის განმავლობაში მზისაგან მიღებულ სითბოს გაცივებულ სივრცეს უბრუნებს. ეს გახლავთ მიზეზი ღამე რომ დედამიწა ცივდება. მართლაც, ღამე რასაც-კი უნდა შეეხოთ ფოთლებს, ქვას, ყოველისფერი ცივია. ამის გამო დედამიწასთან ახლო ჰაერიც ცივდება. ამ რიგათ ცივს ჰაერში ორთქლი იკუმშება. ხოლო მეტი ორთქლი ბალახსა და სხვა საგნებს ნამათ ედება.

გაცივებული დედამიწა ორთქლს კიდევ ნისლით შეკუმშავს ხოლმე. ამის მაგალითი მთებში ბევრია. როდესაც ნოტიო და თბილი ქარი გაცივებულს მთის მწვერვალოს უბერავს, მაშინ ჰაერი ცივდება, ორთქლი იკუმშება და ნისლათ ან ღრუბლებათ გვეჩვენება. ამ შემთხვევაში ეს ახლათ გაჩენილი ღრუბელი თქვენ ყურადღებას იქცევს, იგი რაღაც განმარტოებული სდგას, მოყვანილობითაც მთას წააგავს. შორიდან ისე მოჩანს, თითქოს მთას ბანჯგვლიანი ქუდი წამოუდგამსო. ამისთანა სურათები დილაობით ხშირია. ხოლო რამდენიც მზე მაღლა იწევს, შუა დღე ახლოვდება, მზისაგან გახურებული მიწის ზედაპირი იმდენათ ჰაერს ველარ აცივებს, მაშასადამე შეკუმშვაც ალარ

ხდება, და ამიტომაც ნისლი თუ ღრუბელი თან-და-თან ჰაერში იფანტება, ჰქრება. მაგრამ აგერ საღამოს ჟამმა მოატანა. დედამიწა ხელ-ახლათ ციედება, ციედება მასთან ჰაერიც. ამ გაციებულ ჰაერში თუ ბლოომათაა ორთქლი, მაშინვე შეიკუმშება, გაჩნდება ისევ ნისლი და მთაც თავის ქუდს ჩამოიფხატავს.

მაინცა და მაინც ორთქლის შეკუმშვა უმთავრესათ ჰაერში ხდება და არა დედამიწაზე. ჰაერში ორთქლის შეკუმშვისაგან ჩნდება ღრუბლები. არც ერთი ბუნების მოვლენა ისე ჩვეულებრივი, მარტივი არ არის, როგორც ღრუბელი! მერე რა არის ეს ღრუბელი? იგივე ნისლი... სხვა არა გეგონოთ-რა. მიწიდან ასული თბილი ჰაერი მაღლა ცაში ციეი ჰაერის შეხებით გაციდა, უფრო კარგა შეიკუმშა და გაჩნდა ღრუბელი.

დააკვირდით ცას და ღრუბლების გაჩენას ადვილათ გაითვალისწინებთ. აგერ ცაზე იქა-აქ პატარა თეთრი ღრუბლები გაჩნდა. გავიდა პატარა ხანი და მათმა რიცხვმა იმატა; კიდევ პატარა ხანი, და ღრუბლები ერთი მეორეს შეუერთდენ, გაიზარდენ, ბოლოს ცა სულაც შავი სქელი ღრუბელით მოიჭედა. ამ სქელი და შავი ღრუბლებიდან წარმოსქდება ხოლმე წვიმა. ამნაირათ, რაც ცაში ორთქლი იკუმშება სულ ერთიანათ დედამიწაზე წყლის აორთქლის შედეგია. თბილს ჰაერთან ერთათ ორთქლი ზეით ცაში ადის; რამდენსაც მაღლა იწევს, იმდენათ სითბოს ჰკარგავს, ციედება. მაშასადამე ეს ზეით ასული ჰაერი იმდენს ორთქლს ვეღარ იტევს, რამდენსაც წინეთ, როცა თბილი იყო. ამიტომაც იგი რამოდენიმე ორთქლს ჰკარგავს; აი ეს დაკარგული ორთქლი იკუმშება ღრუბლებათ. ზაფხულში, დილაზე ცა ხშირათ მოწმენდილია, მაგრამ რამდენიც მზე მაღლა იწევს და შუა დღე ახლოვდება, იმდენათ დედამიწა ხურდება. ამ დროს ბევრი ორთქლი ადის მიწიდან; ცაში ეს ორთქლი ცივი ჰაერის შეხებით ციედება და თეთრ ღრუბლებათ იკუმშება. მართლაც, ეს ღრუბლები ზაფხულში შუადღისას ჩანან ცაზე. საღამოს ჟამს, როცა აორთქლა მცირეა, სუსტი ღრუბლებიც აღარ ჩნდება ცაზე, პირ-იქით რაც იყო იგი-

ნიც თან-და-თან პატარავდებიან და, ბოლოს სულაც ჰქრებიან. მოატანს ღამე, და ცა სრულიადაც მოიწმინდება. ცაზე ხშირად ღრუბლების მოძრაობასაც შეამჩნევთ. ამ შემთხვევაში ღრუბლებს ჰაერი ერეკება. რაც უფრო მძლავრათ აწვება ღრუბლებს ჰაერი, მით უფრო ჩქარია მათი მოძრაობა. ზოგჯერ ცა სრულიად მოცულია სხვა-და-სხვა ადგილებიდან მოდენილი ღრუბლებით. ამნაირათ, ღრუბლების მოძრაობა გამოწვეულია ჰაერის მოძრაობით, ხოლო ჰაერის მოძრაობა ორთქლის რაოდენობაზე არის დამოკიდებული.

V. წვიმა და თოვლი.

ამნაირათ თქვენ გაიგეთ, რომ მდინარეებისა, ტბებისა და ზღვებისაგან ასული ორთქლი ზეით ჰაერში ისევ იკუმშება და ჩნდება ღრუბელი. მაგრამ ეს ღრუბლები მუდმივ ხომ ცაზე არ არიან? ხშირათ იგინი ისევ იფანტებიან, ხელ-ახლად უხილავ ორთქლათ იქცევიან ხოლმე. ხოლო ზოგჯერ ღრუბლები სხვა სახითაც ჰქრებიან ცაზე. რაც ღრუბლებში სისველეა, ჰაერის საშუალებით დედამიწას ეცემა და ამნაირათ ჩნდება წვიმა და თოვლი.

რა თქმა უნდა იცით, რომ წვიმა ღრუბლებიდან მოდის. არ არის ცაზე ღრუბლები და არ არის წვიმაც. ღრუბლებიდან წვიმის გაჩენას ადვილათ წარმოიდგენთ, თუ ზემო მოყვანილ ცდას გაიხსენებთ: ოთახში რომ ციცი სტაქანი შევიტანეთ, ჯერ სტაქნის გვერდები თხელი ნისლით შეიმოსა, ხოლო პატარა ხანს უკან ამ ნისლიდან დიდი წვეთები გაჩნდა და გვერდებზე დენა დაიწყო. როგორც ნისლი სტაქნის გვერდებზე, ისე ღრუბელი ცაზე პატარ-პატარა წვეთებისაგან შეზავდა. ამ პატარა წვეთების შეერთებამ გააჩინა დიდი წვეთები. ერთ შემთხვევაში, ოთახში, წვეთები სტაქნის ციეს გვერდებზე ჩამომდინარებენ, ხოლო მეორეში, ცაში, ჰაერის საშუალებით წვიმის წვეთებათ. მაგასადამე, წვიმა ჰაერში ორთქლის ძალზე შეკუმშვის შედეგია. ღრუბელი რაც უფრო იკუმშება, იმდენათ მეტს სისველეს

იკრეფს. ეს სისველე-კი თან-და-თან წვეთებათ გადადის; წვეთები სიმძიმის გამო ჰაერში ვეღარ კავდებიან და დედამიწას წვიმათ ეცემიან.

როცა ძალიან ცივა, მაშინ ღრუბლებიდან წვიმის მაგივრათ თოვლი მოდის.

თოვლი რომ ოთახში შეიტანოთ, მაშინვე დადნება და იქცევა წყლათ. ხოლო წყალი რომ რამოდენიმე ხანს ჭურჭელზე, თეფშზე დასტოვოთ, იგი ორთქლათ იქცევა. ამნაირათ, თოვლი, წყალი და ორთქლი ერთი-და იმავე ნივთიერების სხვა-და-სხვა ფორმებია. ამიტომაც ვამბობთ წყალს სამი სახე აქვს-თქო: ჰაეროვანი (ორთქლი), სითხე (წყალი) და მაგარი (თოვლი).

ზამთარში წყალი მდინარეებსა, ტბებსა და რუებში ერთგვარი სქელი და გამჭვირვალე ქერქით იფარება. ამ ქერქს ყინული ჰქვიან, ამ ქერქის ნაწილ-ნაწილათ ქცევა შეიძლება. ხოლო თუ სიცივეა წყალი ისევ ახალი ქერქით გადიფარება და დამტვრეული ნაწილებიც მას მჭიდროთ შეეყინება. რაც უფრო სიცივეა, მით უფრო სქელია ყინული. პატარა რუებში წყალი ძირამდინ იყინება. ყინული რომ თბილ ოთახში შეიტანოთ, მაშინვე გალღვება და წყლათ იქცევა. ეს წყალი კიდევ ორთქლათ შეგიძლიათ გადააქციოთ. ყინულს მაგარ საგნათ გადაქცეულს წყალს უწოდებენ. ხოლო თოვლი და სეტყვა ყინულის სხვა-და-სხვა სახეა. ამნაირათ, თოვლი ჰაერის მაღალ ფენებში ჩნდება. მიწიდან ამავალი თბილი ჰაერი და მისი ორთქლი მაღლა ძალზე იკუმშება, სიცივისაგან იყინება კიდეც და ჩნდება თოვლი.

VI. ჰაერის მოძრაობა.

ჰაერი ყოველთვის მოძრაობაშია. კიდევაც ეგძნობთ მის მოძრაობას: იგი ხან ნიავათ გვიქიქინებს, ხან კიდევ მძლავრ ქარიშხალათ დაგვიბერავს ხოლმე; მყუდრო ამინდშიაც, როცა თითქო ჰაერი არც კი ინძრევა, ვამჩნევთ ჰაერის მოძრაობას. ბა. ამისთანა ამინდში და-

უკვირდით მცენარეების ფოთლებს ან კიდევ ბუხრის მილიდან ამონადენ კვამლს! ფოთლები მცენარეზე ირხევა, თუმცა ოდნავ, მაგრამ მაინც შესამჩნევათ. ბუხრის მილიდანაც კვამლი სწორეთ არ ამოდის, იგი იქით-აქეთ უხვევს, იკლაკნება. დიახ, ჰაერი ყოველთვის მოძრაობს. ჩვენც გავიგოთ ამ მოძრაობის მიზეზი.

ჰაერი რომ ცხელს საგანს შეეხება გახურდება, როცა ცივს შეეხება და გაცივდება. გახურებული, თბილი ჰაერი უფრო მსუბუქია ვიდრე ცივი. თბილი ჰაერი ფართოვდება, მისი ნაწილები ერთი მეორეს შორდება. ამის გამო თბილი ჰაერი უფრო თხელია, მასთან მსუბუქიც, ვიდრე ცივი, რომლის ნაწილები მჭიდროთ არის ერთი მეორესთან დაკავშირებული. რაკი ასეთი განსხვავებაა თბილსა და ცივს ჰაერს შორის, რასაკვირველია რომ იგინი ერთათ ვეღარ მოთავსდებიან, ამიტომაც უფრო მსუბუქი, თბილი ჰაერი ზეით მიიწევს, მაღლა გარბის, ხოლო მძიმე, ცივი ჰაერი ძირს ეშვება, დედამიწას ეკვრის. ამას შემდეგი ცდა დაგვიმტკიცებს. აიღეთ რკინის შამფური და ძალზე ცეცხლზე გაახურეთ; მერე გამოიღეთ ცეცხლიდან და შამფურს ზვიდან ქაღალდის პატარ-პატარა ნაჭრები დააყარეთ. რა მოხდება, რომ იცოდეთ? ნაჭრები სულ ერთიანათ ქვეიდან ზვეით აფრინდებიან. რატომაო? იკითხავთ; იმიტომ რომ შამფურმა ჰაერი გაათბო, გაახურა, თბილი ჰაერიც ზვეით იწევს და თან იტაცებს ქაღალდის ნაჭრებსაც; ზვეით ასული გამთბარი ჰაერის ადგილს იჭერს ცივი ჰაერი; ეს ჰაერიც თბება, ისიც ზვეით მიეშურება და ასე, სანამ შამფური არ გაცივდება; გაცივდება და ჰაერის ზვეით დენაც შეწყდება.

ბუნებაშიაც ასე ხდება. ვთქვით და კიდევ ვიტყვით, რომ მზე სითბო-სინათლის დიდებული წყაროა. იგი ათბობს და ანათებს დედამიწას, მხოლოთ ჰაერს დედამიწა ნაკლებათ ათბობს; ისე გაირბენს მზის სხივი ჰაერს, რომ მას ოდნავ თუ გაათბობს. მზის სითბო თითქმის მთლათ დედამიწას ეფინება. თავის მხრივ დედამიწა სითბოს ჰაერს სთავაზობს, ჰაერიც იღებს და ამნაირათ თბება ჰაერიც. მზის

სხიევები დედამიწაზე ხმელეთსაც ახურებს და წყალსაც. დედამიწისაგან გამთბარი ჰაერი მჩატდება და მაღლა მიდის, ხოლო მის ადგილას მომდინარეობს ციეი ჰაერი. აი ეს ჰაერის მამოსელა, მოძრაობა არის ქარი. ადეილი გასაგებია ქარის გაჩენა; აი მაგალითი: ეთქვათ, თქვენ ზაფხულს ზღვის პირათ ატარებთ. იქ თქვენ შეამჩნევეთ რომ დილიდან შუადღემდე ქარი ხმელეთიდან ზღვისაკენ უბერავს. ხოლო შუადღისას, როცა სიცხე ძალზე დააჭერს, ქარი სულაც აღარ იძერის, სრული მყუდროებაა. საღამოზე ქარის მიმართულება შეიცვლება, ახლა მეორე მხრიდან, ზღვიდან ხმელეთისაკენ დაუბერავს სასიამოვნო გრილი ქარი. ეს ქარი პირველიცა და მეორეც წყლისა და ხმელეთის მეტ-ნაკლებათ გათბობის შედეგია. როგორ? რანაირათო? იკითხავთ თქვენ. როგორ და ცხელ დღეში მიწა და სხვა საგნებიც მზისაგან ხურდება. ამავე დროს თქვენც სიცხისაგან შეწუხებულმა რომ წყალს მიაშუროთ, ეთქვათ ტანი იბანოთ ზღვაში, პატარა გადაგეყრებათ. გრილი წყალი დიდათ გიამებათ. მაშასადამე ხმელეთი უფრო და მალეც ხურდება ვიდრე წყალი. პირ-იქით, ღამე ხმელეთი უფრო მალე ციდება ვიდრე წყალი. დღე მიწა ახურებს ჰაერს, ჰაერიც მჩატდება და მაღლა მიქრის, ამავე დროს უფრო ციეი და მძიმე ზღვის ჰაერი ნაპირისაკენ, ხმელეთისაკენ მოქრის, ხოლო ღამე-კი სრულიად წინააღმდეგ მოძრაობას ვამჩნევეთ. ძალზე გაციებული ხმელეთის ციეი და მძიმე ჰაერი ზღვისაკენ მიეშურება. აქედან ცხადათა ჩანს, რომ ჰაერის მოძრაობა ჰაერისავე სითბო სიციეის მეტ-ნაკლებობის შედეგია. მაგრამ ეს მოძრაობა უმთავრესათ ჰაერში ორთქლის მეტ-ნაკლებობით არის გამოწვეული. ორთქლის რაოდენობა ჰაერში მუდამ იცვლება; ხან მეტია და ხან ნაკლები. ორთქლი უფრო მსუბუქია ჰაერზე. ორთქლით გაჟღენთილი ჰაერი უფრო მჩატეა ვიდრე ამოდენიეე უორთქლო, წმინდა ჰაერი. ამიტომაც, რაც უფრო ბევრი ორთქლი გაერევა ჰაერში, მით უფრო ეს ჰაერი დამჩატდება, გათხელდება. ჰაერის სიმძიმე და სიმჩატე ბარომეტრით იზომება.

შეიცვლება ჰაერის სიმძიმე ორთქლის მეტ-ნაკლებობით, და ჰაერიც მოძრაობას იწყებს. ჰაერში თუ ბევრი ორთქლი შეერია, ჰაერი გამჩატდება და მაღლა დენას იწყებს. მხოლოთ უფრო მძიმე და ცივი ჰაერი სადაც ცოტაოდენი ორთქლია იმ ადგილისაკენ მიისწრაფვის. ასე ჩნდება ქარი. ვინიცობაა რომელიმე ადგილას, სხვა ახლო-მახლო ადგილებთან შედარებით, ჰაერის მდგომარეობა შეიცვალა, .ე ი. ჰაერი უცბათ ერთბაშათ გაცივდა ან გათბა, ან კიდევ იქ ჰაერში ორთქლის რაოდენობამ იმატა ან იკლო, მაშინ ამ ალაგისაკენ ახლო-მახლო ადგილებიდან სწრაფათ გაემართება ჰაერი და ამნაირათ გაჩნდება მძლავრი ქარი, ქარიშხალი.

დედამიწაზე ზოგი იმისთანა მხარეა, სადაც ჰაერი ყოველთვის მძიმეა, ზოგი კიდევ იმისთანაა, სადაც ჰაერი ყოველთვის მსუბუქია. აი კიდევაც ამ მხარეთა შორის ყოველთვის ჰაერის მოძრაობაა, ქარი ჰქრის. ესათუოთ ქარი იქიდან ჰქრის, სადაც ჰაერი მძიმეა, ხოლო იქითკენ, სადაც ჰაერი მსუბუქია.

ხან—ინ.



ტროადის ომი.

ეველათ, უხსოვარ დროს, წინა აზიის ერთ-ერთს ყურეში, ჰელესპონტისა და იდის მთა-გრეხილების შუა, კეკლუცათ გადმოიყურებოდა მაღლობ გორაკიდან ოდესმე მძლავრი და შესანიშნავი ქალაქი ტროადა, ანუ ილიონი. ქალაქის ორსავ მხარეზე ფართოთ დაფენილს ჭალებზე ჩუხჩუხით ჩამორბოდენ მდინარე სიმოისი და სკამანდრა, რომელიც უხვათ ანაყოფიერებდენ ირგელივ ატეხილ ჭალა-მინდვრებს.

ძველათ, სანამ ჯერ კიდევ ტროადა არ იყო გაშენებული, იდის მთა-გრეხილებზე ცხოვრობდენ თევკრები, რომელთაც განაგებდა მეფე თევკრი.

ღმერთების მამათ მთავრის ზევსის შვილმა დარდანმა შიმშილობის დროს დასტოვა თავის სამშობლო და გადასახლდა მეფე თევკრის სამფლობელოში. მეფე დიდის სიხარულით მიეგება ღმერთების შთამომავალს ახალგაზრდა დარდანს. თევკრი და დარდანი ძრიელ დამეგობრდენ. ამ მეგობრობის უფრო კიდევ გასამკეიდრებლათ მეფემ თავისი მზის-უნახავი ქალი მიათხოვა დარდანს და მზვითვათ თვალ-გადუწედენელი ადგილები მიუზომა. დარდანმა ნამზითევ ადგილებში გააშენა ქალაქი, რომელსაც სახელათ „დარდანი“ უწოდა. ტროადელები დასახლდენ ქალაქდ არდანის მიდამოებში და ამისგამო დარდანელებათ იწოდებოდენ.

დარდანის შვილმა ერიქტონიმ დაიფლო ტროადელების ყველა

სამკვიდრო ადგილები და მარტოთ მარტო განაგებდა მთელს ერს. ერიქტონის მეფობის დროს მკვიდრი დიდ ბედნიერათ თვლიდა თავის თავს. ყველაფერი უზრუნველყოფილი ჰქონდათ. სახელმწიფოს გარეშე მტერი არ აწუხებდა. მკვიდრი მშვიდობიან მუშაობას ეწეოდა. ნაყოფიერი მიწა უხვათ აჯილდოებდა მკვიდრთა დაუღალავს შრომას. მეფის სიმდიდრე ხომ სახელმწიფოს კიდითი-კიდემდე განთქმული იყო. საუფლისწულო მინდერებში სხვა უთვალავ ჯოგთა შორის სამი ათასი აბრეშუმის ფაფრებიანი ცხენი საძოერათ დანავარდობდა. საკვირველის თვისებისა იყო განსაკუთრებით თორმეტი ცხენი. ამ თორმეტის ცხენის სიმარდით ყველანი განცვიფრებაში მოდიოდენ. ეს ფეხ-მალი ცხენები თვალ-უწვდენელ პურით დაფენილს ყანებში ისე სწრაფათ დაგოგავდენ, რომ ერთს პურის თაველსაც-კი არ არხევდენ, უფსკრულ ზღვის ზვირთებში ისე დანავარდობდენ, თითქო ხმელეთიაო, და მათ მალ-ფეხებს ცვარი წყალიც-კი არ ეკარებოდა.

ერიქტონის სიკვდილის შემდეგ სამეფო ტახტი მისმა შვილმა ტროსმა ჩაიბარა. ტროსი ტროადელების გვარეულობის მეფე-მთავრათ ითვლებოდა და კიდეეაც ამიტომ მთელი სახელმწიფოს მკვიდრი ტროადელებათ იწოდებოდენ.

ტროსს ყვანდა სამი შვილი: ილი, ასსარაქი და ჰანიმედი. დედამიწის ზურგზე ჰანიმედს სილამაზით ვერც ერთი მომაკვდავი ვერ შეედრებოდა. ღმერთების მამათ-მთავარმა ზევსმა უბრძანა თავის არწივს მოეტაცნა ეს სილამაზით განთქმული ყრმა და ოლიმპზე მიეგვარა. ჰანიმედი ამიერიდან ღმერთების სამფლობელოში ცხოვრობდა და ყოვლად შემძლე ღმერთების მამათ-მთავარს ზევს ემსახურებოდა. ყოველ სადილის დროს ახალგაზდა ყრმის ძოვალეობა იყო ზევსისათვის ნექტარით ავსილი ოქროს თასი მიეწოდებინა.

მამის სიკვდილის შემდეგ ილმა და ასსარაქმ შუაზე გაიყვეს მთელი სახელმწიფო. დარდანელების მეფეთა გვარეულობის მამათ-მთავრათ გახდა ასსარაქი, ხოლო ტროადელებისა-კი ილი.

ერთხელ ილი ფრიგიის მეფეს ესტუმრა. მეფის ბრძანებით სა-

სახლის ეზოში ჭიდაობა გაიმართა. ილიმაც მონაწილეობა მიიღო ამ ჭიდაობაში. ტროადელებთა მეფემ ყველა მოჭიდავენი სძლია. მეფემ ამ გამარჯვებისათვის უხვათ დაასაჩუქრა თავისი სტუმარი და სხვა საჩუქართა შორის ილს მიუძღვნა ერთიანათ აპეპლული ძროხა და თან ესე მოახსენა: საცა ეს ძროხა გაჩერდეს, იქ ქალაქი გააშენეო.

ილიონი გაემგზავრა თავისი ძვირფასის საჩუქარით. ძროხა მივიდა ერთ მაღალ გორაკზე და ერთბაშათ შეჩერდა, ილი ბევრს ეცადა ძროხას რამდენიმე ნაბიჯი მაინც კიდევ გადაედგა, მაგრამ ამაოდ; ძროხა ამ ადგილიდან ფეხს არ იცვლიდა. ილმა სწორეთ იმ გორაკზე, საცა აპეპლული ძროხა შეჩერდა, გააშენა ქალაქი, რომელსაც სახელათ უწოდა ტროადა ანუ ილიონი.

სანამ ილი ქალაქის გაშენებას შეუდგებოდა, ღმერთების მამათმთავარს ზევსს დახმარება შეეთხოვა. ზევსმა ნიშნათ მოწყალებისა მეფე ილის სასახლის ეზოში ციდან ჩამოუგდო პალადიონი ანუ პალადა ქალ-ღმერთის ხის ქანდაკება. პალლადა ქალ-ღმერთს მარჯვენა ხელში ეჭირა შუბი, ხოლო მარცხენა ხელში თითისტარი სართავის ძაფით. ტროადის მეფის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა დილა ადრიან სასახლის ეზოში იპოვა პალლადიონი. ქალ-ღმერთის ხის ქანდაკება ილიმ ზევსის მოწყალებისა და დახმარების ნიშნათ ჩათვალა და დაუყონებლივ ქალაქის გაშენების თავდარიგს შეუდგა. მეფემ სულ მოკლე ხანში გააშენა მშვენიერი ქალაქი. ქალაქის ზემო ნაწილს შემოაველო მაღალი ქვის კედლები; ქალაქის ქვემო ნაწილი შემოზღუდულ იქმნა მაღალის კედლებით ილის მემკვიდრის ლაომედონის დროს.

ერთხელ, როცა ლაომედონი ილიონის ქვემო ნაწილის კედლებს აშენებდა, მეფეს ესტუმრენ ღმერთები აპოლონი და პასსეიდონი. ღმერთებმა არა გაუცხადეს-რა ლაომედონს თავის ღვთაებრივ შთამომაველობაზე და სთხოვეს ჩვენც გვამუშავეთ სხვა მუშებთან ერთათ ქირითაო. ძრიელმა პასსეიდონმა მეტათ დიდი შრომა გასწია ილიონის კედლების აშენებაზე. უზარმაზარ ქვებს

თხრიდა მიწის სიღრმიდან პასსედონ ღმერთი და თავის ხელით მჭიდროთ აწყობდა ქალაქის კედლებზე. აპოლონ ღმერთი თავის ხმატკბილი ვიოლიონოს სიმთა ჟღერით ამოძრავებდა მძიმე და დიდრონს ქვებს; საშენი ქვები თავის თავათ ეწყობოდენ ილიონის კედლებზე და მჭიდრო და მიუვალ ზღუდეთ ქალაქს თავს სცილდებოდენ. ღმერთებისაგან აგებული ილიონის კედლები თავის დღეში არ დაინგრეოდენ, მტრის ძალა ვერასოდეს ვერ შემუსრავდა ქალაქის სიმაგრეთა სიმაგრეს, რომ ამ ზღუდეთა აგებაში მონაწილეობა არ მიეღო ეაკიდების გვარეულობის მამათ-მთავარს ეაკს, რომლის ბრწყინვალე შთამამავლობას ეკუთვნოდენ ისეთი სახელგანთქმულნი გმირნი, როგორიც იყვენ ტელამონი, აიაქსი, აქილი და პელეიასი. ეაკის მიერ ნაშენი ქალაქის ზღუდენი სწორეთ იმ თვისებისა იყო, რომ მტრის ძალა ადვილათ შემუსრავდა და დაანგრევდა.

ლაომედონის შემდეგ ტროადაში გამეფდა მისი უმცროსი შვილი პრიამი. ტროადის სამეფო მეფე პრიამის დროს ერთ-ერთ ძრიელ სახელმწიფოთ იყო მიჩნეული. მეფე და მეუღლე მისი, დედოფალი ჰეკუბა, დიდხანს და ღიდხანს ბედნიერათ ცხოვრობდენ სასახლეში. ყველანი მეფე-დედოფლის ბედნიერებას შესტრფოდენ და შენატროდენ, ყველანი მომაკედავთა შორის პრიამს და ჰეკუბას ბედნიერათ თვლიდენ. მეფე-დედოფალს მხარს უმშვენებდენ ურიცხვი შვილი და შვილის-შვილები.

დედოფალმა ჰეკუბამ ერთხელ მეტათ საშიში სიზმარი ნახა. დედოფალს დაესიზმრა, ვითომც მან შობა ცეცხლით ანთებული მუგუზალი, რომელმაც მთელ ტროადას ცეცხლის ალი მოსდო. ცეცხლის ალი ისე გაძლიერდა, მთელს ტროადაში, რომ მთელ ქალაქს გადაბუგვა მოელოდა. ნაპერწკლები ცის მიუწდომელ სიმაღლეს სწვდებოდენ. ფერფლში და ნაგრევებში სცურავდა მთელი ქალაქი. მეფე საგონებელში ჩააგდო დედოფლის სიზმარმა. პრიამმა უამბო დედოფლის მიერ ნანახი სიზმარი თავის შვილს ესაკოსს, რომელსაც სიზმრების გამოცნობის ხელოვნება ზედ-მიწევნით ჰქონდა შესწავლი-

ლი. ესაკოსმა ამნაირათ განმარტა ჰეკუბას სიზმარი. დედოფალს შეეძინება შვილი, რომელიც თავის სამშობლო ქვეყანას დაღუპავს, გაანადგურებსო.

მართლაც, ცოტა ხნის შემდეგ ჰეკუბას მიეცა შვილი. მეფე პრიამი მეტათ შეაწუხა ამ გარემოებამ და გადასწყვიტა ახლად შეძენილი შვილი მსხვერპლათ შეწირა სახელმწიფოს უბედურებისაგან თავიდან ასაცდენათ. მეფემ დაუძახა თავის ერთ მსახურთაგანს, გარდასცა ახლად შეძენილი ყმაწვილი და უბრძანა გადაეგდო იგი შორს, შორს იდის მთა-გრეხილებზე.

საბრალო მეფის შვილი კატის კნუტივით ჰკნაოდა იდის მთა გრეხილის მიყრუებულს და მივარდნილს ადგილას. ბავშის საცოდავი ყვირილი უდაბურს ტყესა და ველს კიდითი-კიდემდე სწვდებოდა. ერთ ძუ დათეს შეებრალა მტირალა საცოდავი ბავში და ხუთის დღის განმავლობაში ძუძუს აწოვებდა მეფე-დედოფლისაგან მოძულებულს პაწია ბავშს. ხუთი დღის შემდეგ შემთხვევით მწყემსმა ნახა ტყეში უპატრონოთ მიგდებული ბავში, წაიყვანა სახლში და შეძლებისა დაგვარათ კიდეეაც აღზარდა.

მეფის ვაჟი თან-და-თან იზრდებოდა მწყემსის სახლში. იგი კიდეეაც დავაჟკაცდა და მწყემსობას მიჰყო ხელი, ხოლო არც მას და არც მის აღმზრდელებს არასოდეს ფიქრათაც არ მოსდიოდათ, რომ ეს ანგელოზივით ლამაზი და მოწყვეტილი ვაჟკაცი მეფის შთამომავალი იყო.

ერთხელ, როცა ახალგაზდა მწყემსი უდაბურს ტყეში ჯოგს აძოვებდა, უვცრივ გამძვინვარებულ ნადირთა გროვა თავს დაესხა. მწყემსი ისეთის თავ-განწირულებით შეებრძოლა გააფთრებულ ტყის ნადირთ, რომ ყველას შიშის ზარი დასცა, თითქმის ერთიანათ გაანადგურა და ამნაირათ სრულიად უნებლიეთ გადაარჩინა თავისი ჯოგი აუცილებელ განსაცდელს. ამ გმირობისათვის მეფის ახალგაზრდა ვაჟიშვილს სახელად უწოდეს მისმა აღმზრდელებმა ალექსანდრე, რაიცა ნიშნავს „დამცველს“.

ს. უუმისთ'ველი.

(შემდეგი იქნება)

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

(წარმოდგენილი ალ. შიუკაშვილისაგან).

ფეხზე ვდგევარ მე ამაყათ,
არე-მარეს ეუცქერ ლხენით,
ყველასთვის ერთი გული მაქეს,
არვის ვესალმები წყენით.
ვინც მოწიწებით მეწვევა
მას აევსებ სუნნელებით!
და ვინც მტრულათ დამეცემა
მას მე მოვიგერებ კბენით.

—

არა ვარ ტყისა ნადირი,
არც ქვემძრომი მიწის მწერი,
სახლში ვზივარ უდარდელათ,
თავზე მაფარია ჭერი,
ჩემს ენაზე ვლაპარაკობ
და სანდისხან კიდევ მღერი;

ყველამ იცის, რომ ჩემი ხმა,
მართალია, დასაჯერი;
ჩემის შეკითხვით კეთდება,
შინ და გარეთ ყველაფერი.

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი მისგანვე).

ორი ასო ერთად დასვით,
მეთერთმეტე და პირველი,
დანარჩენი წყლის პირზეა,
მუდამ გრილი, მუდამ სველი.
მთელი სიტყვა ხელი მიჭირავს
ჩემის ფიქრის გამომთქმელი;
ეგონებ საკმაოთ აგიხსენ
გამოცნობას შენგან ეელა.

სახუმარო ამოცანები.

(წარმოდგენილი თეოფ. ჯანდელაკისგან).

ჩამოუსვით სამი ხაზი, მიუმატეთ
კიდევ ორი, რომ გამოვიდეს რვა.

დეკემბრის ჟურნალ „ჯეჯილის“ გამოცანებისა.

სახუმარო კითხვები: 1) ორს იანვარს, 2) როცა წყალი გაიყინება.

გამოცანა: სარკე.

შარადა: ბოლოკი.

რებუსი: ლომი და დათვი, კვერნა და მელა,
კატებთან ერთათ თაგვს ეცა ყველა.

სახუმარო ამოცანა: XIX—ამოაკალეთ შუა ერთი და გამოვა XX.

არირმეტიკული ამოცანა: $33^3/_3$.

წუმწუმის ჩხირების ამოცანა: $\frac{II}{IV} = \frac{1}{2}$

რებუსი ახსნა ტფილისის სასულიერო სასწავლებლის მოწაფემ მაქსიმე ბერძნიშვილმა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.

ყოველ დღიური საპოლიტიკო-სალიტერატურო გაზეთი

„ივერია“

გამოვა 1905 წელს

იმავე სიგრძით ⁄ სრულის პროგრამით, როგორც 1904 წ.

რედაქცია ყოველს ღონისძიებას იხმარს, რომ თავისი მძიმე მოვალეობა პირნათლათ შეასრულოს. ჩვენი ძველნი და ახალნი თანამშრომელნი კვლავ დაგვპირდენ დახმარებას.

ფასი გაზეთისა ისეგე თუმანია. ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილათაც შეიძლება.

ვინც 1 მარტამდე შემოიტანს სრულს ფასს პრემიათ მიეცემა— გრაფი ტოტლებენი საქართველოში ისტორიული მონოგრაფია ა. ფრონელისა. წიგნში დაწვრილებით იქნება აღწერილი საქართველოს მდგომარეობა ერეკლე მეფის დროს. წიგნი ცალკე არ გაიყიდება.

წიგნი საკმაოთ ერცელი იქნება დაახლოვებით 400 კაპადონამდე.

5 მანეთათ ტფილისში და 7 მანეთათ ტფილისს გარეშე დაეთმობათ გაზეთი უპრემიოთ: სოფლის მასწავლებელთ, უფასო სამკითხველოებსა, უმაღლეს სასწავლებელთა მოსწავლეთ ⁄ ყველა ხელოსანს.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქციაში (კ. ალექსი მესხიშვილის სახლი, კალოუბნის ეკლესიის გვერდით) და „ქართვ. შორის წერაკითხვის გამავ. საზოგ.“ წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩ., თავადაზნაურთა ქარვასლა).

ქუთაისში:—წიგნ. გამომც. ამხანაგობის კიოსკში. ბეჟანეიშვილის და წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

სიღნაღში:—მიხეილ ნასიძესთან.

თელავში:—ილია ზარაფიშვილთან.

ახალციხეში:—ხაზინის ბუხგ. ღვთისავარიშვილთან.

ცხინვალში:—ნიკო კასრაძესთან.

გორში:—ანტონ კასრაძესთან.

საფოსტო ადრესი: **ТИФЛИСЪ** Редакція „ИВЕРІА“.